სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 8 აგვისტო 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული ფოსტით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 166 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 166

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე მელიტონ დავითის ძე არველაძე, უდროვოთ დაობლებული შვილები მიშა, ლიუცია და დავით მელიტონის ძე არველაძეები, დედამთილი ბარბარე შენგელიას ასული არველაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგთ, რომ ამ თვის 10-ში (ახალი სტილით) გადახდილი იქნება ორმოცი დღის შესრულების წირვა და პანაშვიდი

ოლია არველაძის

სულის მოსახსენებლათ. სოფ. ჭავანში მთავარანგელოზის ეკლესიაში (2—2)

გულდათუთქულნი მშობლები კარპეზ და ოლღა ბარამიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაკარგვას უძვირფასესი ვაჟის

კ ა რ ლ ო ს ი

რომლის დაკრძალვა მოხდება პარასკევს, 9 აგვისტოს, წმ. სტეფანეს ეკლესიაზე სოფ. უჩხომში დღის 3 საათზე (1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი ცოლი პელაგია შვილებითურთ ლიდა, ელენა, გიორგი, ქეთუშა და შუშანა, სიძენი გიორგი ცინცაძე და დათიკო კალანდარიშვილი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს

ივლიანე კონსტანტინეს ძე ლომინაძის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. კვირიკეთში ივლისის 8, დღითი ხუთშაბათს. (1—1)

გულდამწვარნი მამა ივანე, დედა ეკატერინე, დაი თამარი და რძალი კატო მირიანაშვილები ამით აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ და მეგობართ, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი ბრძოლის ველზე გმირულათ გარდაცვალებულის პორუჩიკის

აბრამ ივანეს ძის მირიანაშვილისა

დანიშნულია შაბათს, 10 აგვისტოს (ახალი სტილით) სოფელ ანაგაში (კახეთში) ღვთისმშობლის ეკლესიაში. (1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე ესმა, შვილები ანტონი და მარიამი, ძმა თადა შულაიები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებას

კახვალა მიხეილის ძე შულაიასას

რომლის დასაფლავება დანიშნულია ხუთშაბათს, 8 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე, დიდი კუნძული, კონილოვის ქუჩა, საკუთ. სახლი. (1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები მამა ასლან, დედა ესმა, ძმები პოლიკარპე, კირილე, ვლასი, ვასიკო, მიშა და რომანი, დები ლიზა, ელუკი და სონა, სიძეები სამსონ მამალაძე და ბიქტორ ჭუმბაძე, რძლები ანიჩკა და ოლღა ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ უდროვოთ გარდაცვალებას უძვირფასესი პორუჩიკის

შალვა გაფრინდაშვილისას

დაკრძალვა მოხდებ 9 აგვისტოს სოფ. ტაბაკონში (შორაპნის მაზ.) (2—1)

## მშრომელთა უფლების და მოვალეობის დეკლარაცია

ამ სათაურით გამოსცეს ბალშევიკებმა დოკუმენტი, რომელიც წინ უნდა უძღოდეს ბალშევიკურ რუსეთის კონსტიტუციას. რას შეიცავს უფლება ამ მშრომელის?

ყოველი კომუნისტური მოძრაობა ისტორიაში უხსოვარ წარსულიდან ჩვენამდე მიზნათ ისახავდა კერძო საკუთრების გაუქმებას და მის ნაცვლად საზოგადოებრივ საკუთრების შემოღებას. ამას მოითხოვდენ პირველ ქრისტიანეთა კომუნები, საშუალო საუკუნეთა ყველა მწვალებლები (ერეტიკოსები), რომელნიც უმთავრესად მუშათა წრეებიდან გამოდიოდენ. მათი რევოლიუციური ბრძოლა, მათი ფანატიზმი გასაოცარი იყო. მაგრამ შედეგი ყველგან ერთია: რეაქციის გაბატონება; წარმოების წესებს, ცხოვრების ძირითადი მოთხოვნილებანი, რომელნიც გამომდინარეობდა საწარმოვო ძალთა ურთიერთობისაგან, თავისი გაჰქონდათ და ბოლოს კომუნისტურ ექსპერიმენტების ნანგრევებზე ისევ კერძო საკუთრების საფუძველი მკვიდრდებოდა.

მხოლოდ მარქსმა აულო ალღო ცხოვრების მსვლელობას. და მისი გენიალური აღმოჩენა იმაში მდგომარეობდა, რომ მან იპოვა ნამდვილი საფუძველი კომუნისტური საზოგადოებისა, მან აღნიშნა ის ეკონომიური ბაზისი, რომელზედაც შეიძლება აშენდეს მომავალი სოციალისტური საზოგადოება. ეს ბაზისია საწარმოვო ძალთა განვითარება, განვითარება მისი თანამედროვე ფორმებში იმდენათ, როცა იგი ამ ფორმის შიგნით ველარ მოთავსდება. მაშასადამე, მომავალი წარმოშობა წარსულისა და აწმყოსაგან ისე, როგორც აბრეშუმის ჭია ძველი ქურქისაგან. იგი გაიზრდება ძველ ქურქში და შემდეგ მას შემოიცლის.

ბალშევიზმმა, რომელიც მარქსის სახელს ფიცულობს, სწორეთ ეს ანბანი დაივიწყა. და მისმა ხელმძღვანელებმა გაიმეორეს ის, რაც საშუალო საუკუნეშიც გამოუთქვამთ იმ დროის კომუნისტებს:

„რომ ბოლო მოეღოს ყოველ უბედურებას, რომელიც ჩაგრავს დღევანდელ კაცობრიობას, და რომ უზრუნველყოფილი იყოს ყოველი უფლება, რომელიც შრომას ეკუთვნის, ჩვენ აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია მოვსპოთ თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება, დამყარებული მიწისა და საწარმოვო იარაღების კერძო საკუთრებაზე, მშრომელ მასსის ექსპლოატაციასა და დაჩაგვრაზე, და შევცვალოთ იგი სოციალისტურ საზოგადოებათ". ესა და ეს უფლებები მშრომელი ხალხის დიდი უფლებებია! დიადი მიზანია! მაგრამ განხორციელება მისი რა გზით შეიძლება?

საბჭოთა რესპუბლიკა ამის გამო გვითითებს თავის ნამოღვაწარზე: მიწის სოციალიზაცია, წარმოების ნაციონალიზაცია, ბანკების კონფისკაცია და სხვ. აი ზომები სოციალიზმის განსახორციელებლათ. ჩვენ უკვე ვიცით ამ რეფორმების შედეგები! ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს რეფორმები მხოლოდ ენუქას ანდერძათ იქცენ. მე მიყვლია და გათავება ღმერთმა იცისო, ამბობენ ხალხში თქმულებას. ასე იყივლეს უგნურ მამლაყინწასავით ბალშევიკებმა. ყველაფერი გადმოგვეცია ხალხისთვისო, დაადგინეს მათ ერთხმათ, ხოლო მიღება კი თქვენი საქმეაო, შესძახეს ხალხს და იგიც მიესია: მამულს, ქარხანას, წარმოებას, შემუსრა და გაანადგურა ყოველივე. აი ამაშია დანაშაული ბალშევიზმის.

საშუალო საუკუნის კომუნისტები ყოველთვის ქადაგობდენ და ატარებდენ კიდეც ცხოვრებაში კომუნიზმს. მაგრამ მათ არასოდეს არ მოსვლიათ თავში ასეთი აბსურდი. ალბათ იმიტომ, რომ იგინი მართლა კომუნისტები იყვენ, მხოლოდ კომუნისტები მოხმარის და არა წარმოების. ბალშევიკები კი წარმოების კომუნისტურათ მოწყობას ქადაგებენ და ამ მიზნით მის ანარქისტულათ დაპატრონებას ქადაგებენ, ე. ი. საწარმოვო კომუნიზმის სახელით—მომხმარებელ კომუნიზმს ანხორციელებენ.

საშუალო საუკუნის კომუნისტები, რომელთაც არა ერთი გმირი წარმოშვეს, მომხმარებელ კომუნიზმის სახელით წარმოებას არ ანგრევდენ. პირიქით თავის შრომით მას ანაყოფიერებდენ და ნაყოფს კომუნისტურათ ანაწილებდენ.

ბალშევიკებმა თვით ქარხანა და ფულის მანქანაც კი მომხმარებელ კომუნიზმის საგნათ აქციეს და წარმოებას იყოფენ როგორც პროდუქტს. ამით მხოლოდ ამხობენ საფუძველს, რომელზედაც უნდა შენდებოდეს მომავალი საზოგადოება.

ამიტომ მათი დაპირება მომავალი სოციალისტური წყობილების შექმნისა, არის ენუქას ანდერძი. და კიდევ უარესიც. ენუქას ანდერძი არაფერს იძლევა მხოლოდ. ბალშევიკების ანდერძი კი ანგრევს იმას, რის მიღებაც შეიძლებოდა... ამითი იგი უნდა იწოდებოდეს დამრღვეველ კომუნიზმათ და არა მომხმარებლათ. მით უმეტეს მწარმოებელი კომუნიზმათ მისი ჩათვლა არ შეიძლება.

ამიტომ არაა გასაკვირალი, რომ მათ უფლებებში მუშათა კლასს აქვს ერთი უფლება, გაინაწილოს ის, რაც აქამდე შეუქმნიათ წარმოების სფეროში. სამაგიეროთ აქვს მოვალეობაც დაიცვას ექსპლოატატორთა გაბატონებისაგან მშრომელთა მართველობა, ებრძოლოს არევ დარევას (разруха), დაიცვას საბჭოთა რესპუბლიკა, ე. ი. ბალშევიკთა ბატონობა.

მაგრამ ამ დაცვით, რომ სოციალიზმი არ განხორციელდება?

მერე რა ვუყოთ? განა ენუქას ანდერძით კი გამდიდრდენ მისი მემკვიდრენი?

მუშათა კლასისთვის აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოყვანა შეიძლება: ბალშევიზმის უბედურება იმაში კი არ არის, რომ იგი სოციალისტობას ჩემულობს, ამ დიად მიზანს ისახავს წინ განსახორციელებლათ, არამედ ის, რომ მან არ იცის პირობა და დრო ამ მიზნის განხორციელების, იგი მას უდროვოთ და უადგილოთ უპირებს შემოღებას და ამით არა თუ არ აღწევს მიზანს, პირიქით ასამარებს თვით იდეას სოციალიზმისას. „იძულებული მსოფლიო იმპერიალიზმის ძალდატანებით.., რომ აგროვოს თავის ძალები მისი თავდასხმის მოსაგერიებლად", საბჭოთა რესპუბლიკა თავის მიზნების განხორციელებას მოელის „საერთაშორისო მუშათა კლასის აჯანყებისაგან". და იგი აქეთკენ იწოდებს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს. კეთილშობილური მოწოდებაა, მარა იგი ხომ დღეს დღეობით რეალურ ფაქტათ ვერ იქცევა.

ამიტომ ოცნებაა ამაზე იმედების დამყარება. ბალშევიზმი ამ ოცნების განხორციელებას ცდილობს და ამით რეაქციონურ ტენდენციებს უფრო ემსახურება, სწორეთ ისე, როგორც საშუალო საუკუნის კომუნისტების მოძრაობა ემსახურებოდა ობიექტ. აბსოლიუტიზმის დამკვიდრებას ევროპის ქვეყნებში...

სანამ არ მომწიფებულა გარეშე და შინაგანი პირობები მომავალი წყობილებისა, სანამ არ ამოუწურავს თავის ძალები და შემოქმედებითი ნიჭი კაპიტალისტურ წყობილებას—ფუჭია სოციალიზმზე ოცნება. იგი მანამდე მხოლოდ გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად დარჩება მშრომელთათვის და არა ექსპერიმენტების საგნად. ეს უნდა დაიხსომოს ყოველმა მუშამ, ესაა გაკვეთილი ბალშევიზმის და დასკვნა მათი დეკლარაციის.

## „შიში კრიტიკისა"

ბატონ ლევ. ყიფიანს სწყენია ჩვენ რომ დავსწერეთ—ლევ. ყიფ ანს მოვალეობათ აქვს აღებული წერილების წერა სომხის ბურჟუაზიის დამცველ რუსულ „კავკაზსკოე სლოვო"-შიო.

თავის მორიგ „არაბესკებში" ამ წერილის სათაურით ლევ. ყიფიანი გვიპასუხებს („კავკ. სლ." № 162), გზა და გზა დარიგებას გვაძლევს, თუ როგორის კილოთი უნდა სწერდეს სერიოზული სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანო და სხ.

შეიძლება ლევ. ყიფიანი საკუთარი, განდ „კავკაზსკოე სლოვოს" თვალთა შედვით მართალი იყოს ამ შემთხვევაში, მაგრამ ეს საკითხი ჩვენთვის სადავო არ ყოფილა: ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა ან როგორ უნდა ვსწეროთ, რა შეეფერება სერიოზულ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანოს და რა არა!

გაზეთი „კავკაზსკოე სლოვო" სომხის ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი გაზეთია.

თავისი რუსული შრიფტით ეს გაზეთი სომხურ შოვინიზმს ატარებს. გარეგნულად ერთა თანასწორობის მომხრეა თითქოს, შინაარსით კი აგრესიულ ანუ შემოტევითი, დაპყრობითი პოლიტიკას აწარმოებს და რადგანაც „დასაპყრობათ" შეტევა თფილისში შეიძლება საქართველოზე, ამ გაზეთის მთავარი ძალ-ღონე მიმართულია საქართველოს წინააღმდეგ.

ლევ. ყიფიანი ამ გაზეთში თანამშრომლობს, წერილებსა სწერს.

„არავის, არას დროს, არავითარი ვალდებულობა ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის, არ წარმოუდგენია, ვინაიდან ჩემი სამუშაო, როგორც კალმით მოღვაწემ, მშვენივრად ვიცი და ვასრულებ მიუხედავათ იმისა, ეთანხმება ეს იმ ბეჭდვითი ორგანოს ხელმძღვანელთა ინტერესებს თუ არა. არას დროს, არავისთვის სასარგებლოთ მე წერილი არ დამიწერია"-ო—სწერს ლევ. ყიფიანი.

კეთილი და პატიოსანი!

ავიღოთ თუ გინდ სომეხთა ეროვნული საბჭოს გამგზავრების ისტორია და წარმოვიდგინოთ, რომ ლევ ყიფიანის წერილი, ჩვენი მთავრობის შესარცხვენათ ამ გამგზავრების გამო დაწერილი, არ ყოფილა „კავკაზსკოე სლოვო"-ს ხელმძღვანელ წრეებისთვის სასარგებლო.

მაგრამ, რაც სთქვა ლევ. ყიფიანმა, როგორც არა ვალდებულმა ჟურნალისტმა საქართველოს მთავრობაზე, იგივე ვერ სთქვა სომეხთა ეროვნულ საბჭოზე, ვინაიდან ეს თქმა იქნებოდა „კავკაზსკოე სლოვოს" ხელმძღვანელთა საზარალო.

სომეხთა ეროვნულმა საბჭომ არ სცა ღირსეული პატივი საქართველოს მთავრობას. ამის შესახებ ლევ. ყიფიანმა კრინტი ან არ, ან ვერ დასძრა „კავკაზსკოე სლოვო"-ში!

ლევან ყიფიანი ხშირათ დასტირის საყვარელ სამშობლოს—საქართველოს ბედს „კავკაზსკოე სლოვოს" ფურცლებზე, მაგრამ როცა ამ „საყვარელ სამშობლოზე" ათას ყალბ ხმებს ავრცელებენ, ის ხმას ან არ, ან ვერ იღებს.

აუარებელი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა იმის შესახებ, რომ ლევ. ყიფიანის „საყვარელი სამშობლოს" მტრები შერცხვენას დაფლეთას უპირობენ; ლევ. ყიფიანი კი, ამ სამშობლოს ერთგული შვილი, როგორც თითონ უწოდებს თავს, ხმას არ იღებს.

აქ შეიძლება ლევ. ყიფიანმა სთქვას: აბა, სად შემიძლია ყველაფერს თვალყური ვადევნოვო. სამართლიანი იქნებოდა ამგვარი განცხადება, მაგრამ თუ ის საქართველოს და მისი მთავრობის საწინააღმდეგოთ აუარებელ მასალებს პოულობს, ნუ თუ მის დასაცავად ცოტაოდენი რამ ვერ იპოვა?!

ჩვენ არ შეგვიძლია იმ ვალდებულობის თუ ხელშეკრულობის აღმოჩენა, რომლითაც ლევ. ყიფიანმა ვალად იდო „კავკაზსკოე სლოვო"-ში წერილების წერა, მაგრამ ვისმენთ რა ლევ. ყიფიანის სიტყვას და ვადევნებთ თვალს მის საქმიანობას—ვამბობთ: „ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს".

ეს „ბოლო" კი ლევ. ყიფიანის წერილებია, „კავკაზსკოე სლოვო"-ში დაბეჭდილი, რომელიც ხელში გვრჩება...

## პ რ ე ს ა

ახირებული გაზეთია რუსული „სოციალ-დემოკრატი", მაგრამ ლოღიკის ელემენტარულ წესს მაინც უნდა იცავდეს. იგი კი ამას სისტემატიურათ გაურბის. ვინმე ნ. ა. წერილში რედაქციის მიმართ ასეთ ბრალდებას აყენებს ჩვენი გაზეთის წინააღმდეგ:

„ერთობა", რომელსაც სათაურში აწერია ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო", ურჩევს ქართველ მუშებს გაბატონებული მდგომარეობა დაიკავონ".

რაში გამოიხატება ეს გაბატონებული მდგომარეობა? იმაში თურმე, რომ გაზეთი ურჩევს ქართველ სოციალ-დემოკრატ მუშებს, როგორც ინტერნაციონალისტებს, ითავონ პროფ. კავშირებში ენათა თანასწორობის იდეის განხორციელება, რასაც ასე გაწიწმატებული ებრძვიან ნაწილი რუსი და სომეხი მუშებისა მხოლოდ იმიტომ, რომ არ სურთ იცნონ საქართველოს დამოუკიდებლობა, ე. ი. გარეშე პოლიტიკურ მოსაზრებებით ხელმძღვანელობენ პროფ. კავშირებში.

ალბათ ენათა თანასწორობა ბ. ნ. ა.-ს აზრით ეწინააღმდეგება ინტერნაციონალიზმს! ესეც ახალი აღმოჩენაა. ხოლო ამ თანასწორობისთვის ზრუნვა თურმე გაბატონება ყოფილა. ესეც ახალი ფილოსოფიაა. ნუ თუ გაბოროტებამ ადამიანს გაგების უნარი უნდა დაუკარგოს?

ჩვენ მოვითხოვდით, რომ დანგრეული კავშირები აღადგინონ ამავე თანასწორობის ნიადაგზე. სახეში გვქონდა სხვათა შორის ბეჭდვითი სიტყვის კავშირიც, რომელიც იმ ხანათ გაითიშა. და თუ ეს მოვალეობა დავაკისრეთ სოციალდემოკრატ მუშებს, განა ეს დასაძრახისია? მაშ ხომ ვერ დავაკისრებდით დაშნაკელებს, რომელნიც ყოველთვის ნაციონალურ კავშირის შედგენას ქადაგებდენ და მთელი წლები გვებრძოდენ ამ ნიადაგზე თფილისში და სხვა ქალაქებში?

და აი ესეც ალბათ უნდა ჩვენ ცოდვათ ჩაგვეთვალოს. ნ. ა. ასე დასძენს: „რაც უფრო შორს ტყეში, მით მეტია შეშა". უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი საძებარი შეშა ინტერნაციონალური თვისებისაა. და პროფესიონალურ კავშირებს მართლაც მართებთ ჩაუფიქრდენ ამ მდგომარეობას და ეძებონ გამოსავალი. ამ ძებნას კი ის მოჰყვება, რომ ისევ ჩვენგან ნაჩვენებ ენათა თანასწორობის გზას გამოსძებნიან!

## რას გვავალებს ნაციონალ-დემოკრატ. შეკითხვები?

ამ ბოლო დროს სოციალდემოკრატიული ფრაქცია პარლამენტში გადაჭარბებულ ყურადღებას აქცევს ნაციონალ-დემოკრატების შეკითხვებს.

შეკითხვები თავის თავად საყურადღებოა, მაგრამ ამ შეკითხვების გარშემო ჩვენები მეტის-მეტად აზმაურდებიან ხოლმე და მართავენ პირდაპირ პოლიტიკურ ტურნირს.

ბევრს, პარლამენტის გარეშე მყოფს მართლაც სერიოზულათ ეჩვენება ეს შეკითხვები და ფიქრობს, ალბათ, ნაციონალ-დემოკრატების ფრაქცია წარმოადგენს თვალსაჩინო და საშიშარ ძალას, რომ მათი მოპირდაპირე ბანაკში იწვევს ასეთს მღელვარებას.

ძველათ, რომაელები ამბობდენ: „იუპიტერო ცხარობ, მაშ სტყუიო"! ასეთია შეუგნებელ მასის ფსიხოლოგიასთან აქვთ საქმე ნაციონალ-დემოკრატებს, როდესაც ისინი თხზავენ თავიანთ შეკითხვებს.

უნდა კარგათ გაესინჯოს კბილი ნაციონალ დემოკრატთა შეკითხვებს.

მემარჯვენე ოპოზიცია თავისი შეკითხვებით მთავრობისადმი ყოველთვის ხელმძღვანელობს ერთად-ერთი მიზნით და მოსაზრებით—გამონახოს მთავრობის მოქმედებაში რამე შეცდომა ან, თუ ეს ვერ შესძლო, შეთხზოს ფაქტი და ამ ფაქტზე ააშენოს ბრალდება მთავრობის წინააღმდეგ, რომ ამით დაანახოს საზოგადოებას დღევანდელ სოციალისტურ მთავრობის უვარგისობა.

თუმცა ადვილია მათ მიერ წამოყენებულ ბრალდების დარღვევა, მაგრამ შეკითხვის გარშემო ატეხილი აურზაური მაინც ახდენს ერთგვარ შთაბეჭდილებას, და ნაციონალ-დემოკრატები მიზანს აღწევენ: დღევანდელ ფრიად გამწვავებულ ცხოვრების პირობებში, როდესაც მთავრობას გარს არტყია ატმოსფერა უკმაყოფილების, შეუგნებლობის და პროვოკაციისა, ოპოზიცია თავისი უსაფუძვლო გამოლაშქრებითაც იწვევს უკმაყოფილო ელემენტთა შორის აღელვებას და უნერგავს სიძულვილს მთავრობისადმი, რითაც ხელს უწყობს ანარქიის გაძლიერებს.

ასეთ პირობებში დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს ნაციონალ დემოკრატებთან კამათის გამართვა, რაც ანიჭებს ამ უკანასკნელთ მარტო სარგებლობას.

მართლაც, არავინ ისე არ უკეთებს სახელს ნაციონალ-დემოკრატებს საზოგადოებაში, როგორც პასუხისმგებელ ფრაქციის მათთან კამათი პარლამენტში. მაგონდება ერთი შემთხვევა. ომის და რევოლიუციის დაწყებამდე ქ. ოდესაში გამოდიოდა რუსული გაზეთი დემოკრატიული მიმართულებისა. ამ გაზეთში ერთმა თანამშრომელმა ფსევდონიმით Homuncul s მოათავსა ფელეტონი, სადაც სხვათა შორის გადაკრა გ. ვ. პლეხანოვს. დღეს გ. ვ. პლეხანოვმა დასტამბა წერილი, სადაც თავისი მახვილი კალმით მიწასთან გაასწორა Homunculus-ი. უცნობი Homunculus-ი უკვათ იქცა ცნობილ პუბლიცისტათ. ყველანი დაინტერესდენ ვინ არის ეს Homunculus-ი, რა დაწერა ისეთიო? შეუდგენ ძებნას მისი ფელეტონისა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ოდესის გაზეთის ტირაჟმაც იმატა: ყიდულობდენ ამ გაზეთს, იქნებ Homunculus-მა კიდევ გაბედოს და დასწეროს რამე პლეხანოვის წინააღმდეგ და პლეხანოვმაც მას უპასუხოსო.

Homunculus მა კამათი ველარ გაბედა და ხმა ჩაიკმინდა, მაგრამ სახელი კი იოლათ გაიკეთა. ჩვენი ნაციონალ-დემოკრატები მოხერხებულათ ბაძავენ უნიჭო მწერალს, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენც მივბაძავთ პლეხანოვს, რადგან ყოველივე სასტიკი გამოსვლა პარლამენტში ნაციონალ-დემოკრატების წინააღმდეგ მხოლოდ სახელს უკეთებს მათ. მაშ როგორ უნდა მოიქცეს პარლამენტი მომავალში? ჩვენის აზრით, როდესაც უჯარო ოპოზიციას შემოაქვს შეკითხვები აშენებული შეთხზულ ფაქტებზე, საკმარისია პარლამენტი დაკმაყოფილდეს მთავრობის დასაბუთებული პასუხით და შეტანილი იყოს უბრალო ფორმულა მორიგ კითხვებზე გადასვლისა. იმ შემთხვევაში კი, თუ წამოყენებულია ნამდვილი და უტყუარი ფაქტი მთავრობის რომელიმე შემცდარ მოქმედებისა, შეკითხვა უნდა გადაეცეს განსახილველათ შეკითხვების კომისიას, რომელიც საგანგებოთ იქნება არჩეული. ამ გზით პარლამენტი თავიდან აიცდენს დაუსრულებელს და უსარგებლო კამათს, და თვით ნაციონალ-დემოკრატებსაც დაეკარგებათ ხალისი შეკითხვების წარდგენისა.

ქ. კახელი.

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

6 აგვისტო.

**ბერლინი.** იპრსა და მონტ-დიდიერის შორის საარტილერიო სროლა საღამოთი განახლდა და შემდეგ მთელი ღამე გაგრძელდა. ფლანდრიაში ლომმის ორივე მხარეს მტრის იერიშები მოვიგერიეთ. მონტ-დიდიერის ჩრდილოეთით ჩვენს მოწინავე რაზმებს უკან დავახევიეთ. აქ ტყვეებიც წამოვიყვანეთ. მდ. ვესლაზე ბრძოლა გრძელდება. მტრის იერიშების მოგერიების შემდეგ მიღებული ბრძანების თანახმად ჩვენ უკან დავიხიეთ და გავმაგრდით მდ. ვესლის მარჯვენა ნაპირად. მოზელის დასავლეთით და ვოგეზის მთებში მტრის ყველა იერიშები მოვიგერიეთ. ზგუნდთან ჩვენ გადავედით შეტევაზე და წამოვიყვანეთ ტყვეები.

**ბერლინი.** ჩვენი ჯარების უკან დახევა გუშინ მტრის ჯარებისათვის მოულოდნელი ამბავი იყო. შამპანში გუშინ რამდენიმეთ წინ წავიწიეთ, მიუხედავათ იმისა, რომ მტერი სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდა. ტყვეთ წამოვიყვანეთ 100 ჯარისკაცი და 2 ოფიცერი.

**ბერლინი.** 1918 წლის თებერვლის თვიდან აღმოსავლეთ ფრონტზე ჩვენ ხელთ ვიგდეთ 4,381 ზარბაზანი, 9,490 ტყვიისმფრქვეველი, 750 ათასი ვინტოვ-

კა, 2,867 ათასი საზარბაზნე ყუმბარა, 102 მილიონი პატრონი, 2,100 ორთქლმავალი, 26 ათასი რკინის გზის ვაგონი, 62 ათასი სხვადასხვა ურემი, 1,278 ავტომობილი, 1,795 მოძრავი სამზარეულო და 157 აეროპლანი. დასავლეთის ფრონტიდან წამოვიღეთ 1918 წლის შეტევის შემდეგ 2,800 ზარბაზანი, 15 ათასი ტყვიისმფრქვეველი და დიდძალი სამხედრო მასალა.

**პარიზი.** ფრონტზე საერთოდ ცვლილება არ მომხდარა.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. ზღვის პირის ნაპირად მტრის შემოტევა უშედეგო იყო. მდ. იორდანეს ორივე ნაპირად ძლიერი საარტილერიო სროლა იყო. იორდანეს შესართავის სამხრეთ-აღმოსავლეთით გავდევნეთ მტრის ერთი ესკადრონი.

**მოსკოვი.** იმ ნოტაში, რომელიც საბჭოთა მთავრობამ დაუგზავნა შეთანხმების სახელმწიფოებს მათი ელჩების მოსკოვიდან ვოლოგდაში გადასვლის შესახებ ნათქვამია: „დიდი ხანია ცნობილი იყო, რომ რუსეთში მყოფი სამთა შეთანხმების სახელმწიფოების წარმომადგენლები რუსეთში მომხრენი იყვნენ მეფის თვითმპყრობელობისა და არ სცნობდნენ მუშათა და გლეხთა მთავრობას. მიუხედავათ იმისა, რომ სამთა შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლები მონაწილენი იყვნენ ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებისა, რაიც მიმართული იყო რუსეთში არსებული წყობილების წინააღმდეგ, საბჭოთა მთავრობამ მათ წინააღმდეგ მაინც არ მიმართა რეპრესიებს. ახლაც კი, როცა ჩეხ-სლოვაკთა აჯანყებას სათავეში უდგანან უმთავრესად ფრანგი აფიცრები, როცა რეაქციის ექსცესებს ადგილი აქვს მურმანის მხარეში, ახლაც კი არც ერთი საპროტესტო ხმა არ ყოფილა, რომ ეს დიპლომატები რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან. საბჭოთა მთავრობის ტერიტორიაზე, რომელსაც თქვენ არ სცნობთ ამ ჟამადაც, ჩვენ სხვა რაიმეს თქვენგან არც კი მოვითხოვთ გარდა იმისა, რომ თქვენი წარმომადგენლები ვოლოგდიდან მოსკოვში იქნან გადმოყვანილნი, რომ ამით საშუალება მოგვეცეს ისინი დავიცვათ ხალხის რისხვისაგან, რომელიც აგრე აღელვებულია მათი დანაშაულით სავსე მოქმედებით.

**ბერლინი.** ფელდმარშალ ეიხგორნის მკვლელი ბორის დონსკოი 36 წლის კაცია, მოსკოვის მცხოვრები. მემარცხენე სოც.-რევოლ. პარტიის წევრია. ეიხგორნის მოკვლა მისთვის მიუნდვია ცენტრალურ კომიტეტს.

7 აგვისტო.

**ბერლინი.** ვესლის რაიონში სონშერის ჩრდილოეთით მტერი კვლავ მოვიდა იერიშით, უკან დავახევიეთ და ტყვეები წამოვიყვანეთ.

**ხტამბოლი.** ზღვის ნაპირად მდ. იორდანემდე საარტილერიო სროლაა. ერთმა ჩვენმა აეროპლანმა მტრის ბანაკში მაანის ჩრდილოეთით ყუმბარები ჩაჰყარა.

**პარიზი.** საარტილერიო სროლის გარდა სუასსონის აღმოსავლეთით და მდ. ვესლაზე ცვლილება არ მომხდარა.

აღმოსავლეთის ფრონტი. საარტილერიო სროლა იყო სტრუმაზე და ვარდართან მანასტირის ჩრდილოეთით. ბრიტანეთის მფრინავებმა ჩამოაგდეს ბულგარეთის ერთი აეროპლანი და ყუმბარები ჩაჰყარეს სტრუმის ველზე მდგომ რაზმებში.

**ბერლინი.** 31 ივლისს ინგლისის მფრინავები შეეცადნენ თავდასხმა მოეხდინათ ზააბრიუკენზე, რომელიც ფრონტიდან 50 ვერსის მოშორებით მდებარეობს; მიუხედავათ იმისა, რომ ამ შემთხვევაში ინგლისელები უფრო კარგს პირობებში იყვნენ, ვიდრე გერმანელი მფრინავები, ლონდონსა და პარიზზე თავდასხმის დროს, მათ მაინც ვერ შესძლეს ამ ქალაქისთვის საგრძნობი ზარალის მიყენება. გერმანელ მფრინავებთან ბრძოლის შემდეგ ისინი იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ დიდი ზარალით.

**თურქესტანის** რესპუბლიკის თავმჯდომარემ შემდეგი რადიო-დეპეშა გაუგზავნა მოსკოვში ლენინს: მოელაპარაკეთ ჩიჩერინს და მაცნობეთ მე რადიო-სადგურის შემწეობით თუ როგორ მოვექცეთ თურქესტანში მყოფ სხვადასხვა უცხო ქვეყანათა ელჩებს.

**ციურიხიდან** იუწყებიან, რომ რუსეთსა და ინგლისს შორის იმდენად გამწვავებულია მდგომარეობა, რომ ისინი შეიძლება ჩაითვალონ ერთმანეთში მეომარ სახელმწიფოებათ.

გაზეთი „პრავდა“ მეთაურ წერილში აშკარად აღიარებს, რომ დაბოლოს რუსეთის რესპუბლიკა იძულებული იქნება ომი დაიწყოს გერმანიასთან ერთად მისი ყოფილი მოკავშირეების წინააღმდეგო. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო კომისარი ტროცკი თავის ბრძანებაში, რომელიც მიმართულია ჯარებისადმი, უწოდებს ფრანგებს და ინგლისელებს ჩეხო-სლოვაკებთან ერთად რუსეთის მტრებს.

# უკანასკნელი ცნობები

**სოხუმი.**

სოხუმიდან გენ. მაზნიაშვილი შემდეგს ატყობინებს სამხედრო მინისტრს: სად. ბელორეჩენსკის რაიონში მოწინააღმდეგე ძალებს უყრიდა თავს, რომ ჩვენს წინააღმდეგ შემდეგ შეტევა დაეწყო. მოწინააღმდეგის განზრახვა ადრე იქნა გაგებული. ჩვენი ჯარის მიერ, რომელიც 4 აგვისტოს გადავიდა შეტევაზე. მტრის მოწინავე რაზმები გარეკილი იქნენ. ეს რაზმები ტუაპსედან 6 ვერსის მოშორებით იყვნენ გამაგრებულნი. ჩვენმა ჯარმა შეტევა განაგრძო. აქ მას ბრძოლა მოუხდა მტრის მთავარ ძალებთან. ეს ძალა შესდგებოდა მიხეილის და მაიკობის პოლკებისაგან რიცხვით 4 ათასი კაცი, რომელსაც უფროსობდა ანტონოვი. ამ ჯარს ჰყავდა ჯავშნიანი მატარებელი—„თავისუფლებისათვის მებრძოლი № 2“, სამი ზარბაზანი და დიდძალი ტყვიისმფრქვეველები. ბრძოლა გაჩაღდა ბერძენთა სოფლიდან 4 ვერსის მოშორებით. 6 საათის სასტიკი ბრძოლის შემდეგ ანტონოვის რაზმი დამარცხებული და გაფანტული იქნა. მოკლულ-დაჭრილი ბალშევიკები ასობითაა. მათი ჯავშნიანი მატარებელი დამტვრეულია, ორთქლმავალი დაიწვა. მატარებლის მთელი შემადგენლობა ხელთ ვიგდეთ. წამოვიღეთ 2 ზარბაზანი და 30 ტყვიისმფრქვეველი, დიდძალი ტყვიისმფრქვეველთა პატრონები, ყუმბარები და ვინტოვკები. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე მოძრავი სამზარეულო ქვაბი გამზადებული საჭმელით, ვაგონები სანგრების საკეთებელი ხელსაწყოთ, ფქვილი, ყუთი კონსერვებით, სატელეფონო ქონება, ცხვრის ფარა და მატარებელთა 4 შემადგენლობა. დამარცხებულ მტერს ჩვენი ჯარი დაედევნა და 4 აგვისტოს 20 საათზე ჩვენ დავიკავეთ სად. კრივენკოვსკაია, წავიწიეთ რა წინ 5 ვერსით. ჯერ ჯერობით აქ ვართ გამაგრებულნი. დამარცხებულ მტერს წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეუძლია არავითარმოდ. ჩვენი მხრით მოკლულია 7, დაჭრილია 15.

### ბაქოს შესახებ.

თფილისის რადიო-სადგური იუწყება, რომ ის ცნობები, რომელიც სხვადასხვა დროს დაიბეჭდა გაზეთებში ბაქოში ოსმალთა ჯარების შესვლის შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება. დღემდე ერთი ოსმალთა ჯარის სალდათი არ შესულა ბაქოში. ის კრიტიკული მდგომარეობა ქალაქისა, რომელშიაც ბაქო იმყოფებოდა აგვისტოს პირველ რიცხვებში თავიდან აცილებულია. მტრის იერიშებს შესაფერი წინააღმდეგობა გაუწიეს ბაქოს ჯარებმა. ბაქოს მდგომარეობა ამ მხრით გაუმჯობესებულათ შეიძლება ჩაითვალოს.

# დღევანდელი რუსეთი

(დასასრული).

**5. დამოკიდებულება მუშებთან და გლეხებთან.**

ბალშევიკები თავიანთ მთავრობას „მუშათა და გლეხთა მთავრობას“ უწოდებენ, მაგრამ თავიანთ პოლიტიკით ვერც ერთნი მოიმადლიერეს და ვერც მეორენი. მუშების უკმაყოფილება იქამდისაც კი მივიდა, რომ ქალაქების მთელ რიგში პოლიტიკურ გაფიცვებს ახდენენ და მოითხოვენ ბალშევიკების გადადგომას და დამფუძნებელი კრების მოწვევას. ასეთი გაფიცვები მოხდა სად. ლიუბლინში, ტულაში, ნიჟნი-ნოვგოროდში, ხოლო სორმოვოში საპროტესტო მიტინგის მოწყობის გამო მუშებს სროლა აუტეხეს: მოკლულია ორი, დაჭრილი ათი. დიდი პოლიტიკური გაფიცვა უნდა მომხდარიყო მოსკოვში გასული თვის ორ ივლისს, მაგრამ არა გვაქვს ცნობა, მართლა მოხდა თუ არა ეს გაფიცვა, ხოლო ეს კია, რომ ბალშევიკები პირდაპირ თავზარდაცემულნი იყვნენ და დაუზოგველ კრებებს მართავდნენ გაფიცვის ჩასაშლელათ. წვრილ-ფეხა პროპაგანდისტების გამოსვლას არ დასჯერდნენ და მყისვე აამუშავეს მძიმე არტილერია, „რეჩებით“ გამოვიდნენ სვერდლოვი, სმოლოვიჩი, ზინოვიევი და სხვ. არ ვიცით რა შედეგი მოჰყვა ამ არტილერიის ამუშავებას, ხოლო ის კი ეჭვს გარეშეა, რომ მდგომარეობა სერიოზული ყოფილა ბალშევიკებისთვის.

სმოლენსკში ბალშევიკები წინააღუდგენ მუშათა კონფერენციას, ორიოლში გარეკეს ხელახლად არჩეული მუშათა საბჭო, რომელიც შესდგებოდა მენშევიკებისა და მემარჯ. ესერებისგან.

ასეთივე უნდობლობა იკიდებს ფეხს გლეხების მხრივაც. არ სჯერათ, რომ ლენინის სოციალიზმი მათ რაიმე ხეირს მოუტანს, მიწა წართმევის შიშით ვერ დაუმუშავებიათ და თუ რაიმე დაამუშავეს, ბაზარზე არა გამოაქვთ რა. სამაგიეროთ არც ბალშევიკები ენდობიან მათ და არჩევნებში ხელოვნურად უკანა რიგში აქცევენ. მაგ., საბჭოებში არჩევნები ასე სწარმოებს: 25 ათასი მუშა ირჩევს ერთ დელეგატს, ხოლო ორასიდან სამას—ათასამდე გლეხი ორს, ყუველი ექვსი გლეხი უდრის ერთ მუშას. არჩევნების ასეთ სისტემას ნიკოლოზიც კი შურის თვალით შეხედავდა.

**6. დამოკიდებულება სხვა პარტიებთან.**

მენშევიკებისა და ესერების დევნამ უკიდურესს განვითარებამდე მიაღწია,—მუშათა საბჭოებიდან ისინი გამორიცხულნი არიან და ყოველის მხრივ ავიწროვებენ. სოციალ-დემოკრატიული პრესა პირდაპირ ჩაალრჩვეს, დღეს მას ისე უჭირს არსებობა, როგორც ეს იყო ნიკოლოზის დროს.

პარტიებთან დამოკიდებულებაზე როცა ვლაპარიკობთ, პირველ ადგილზე უნდა დავსვათ მემარცხენე ესერები, რომელნიც თავიდანვე ამოუდგნენ გვერდით ბალშევიკებს და თითქმის ყოველგვარ მათ ნაბიჯს მონურად იწონებდნენ. დღეს ისინი სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებენ ბალშევიკების წინააღმდეგ და ერთიანათ გმობენ ბრესტლიტოვსკის ზავს. როგორც ვიცით მათ მოჰკლეს მოსკოვში გერმანიის ელჩი მირბახი და ასეთივე ბედი არგუნეს უკრაინაში ეიჰგორნსაც. მემარცხენე ესერების აზრით ბრესტის ზავმა დაიმონა რუსეთი და ცდილობს შავი რეაქციის სავანეში გახვიოს იგი. პოლიტიკურ შორს მჭვრეტელობას მოკლებულმა პოლიტიკოსებმა მხოლოდ დღეს დაინახეს, რომ ბალშევიკების გვერდში ამოდგომით სამშობლო დაღუპეს და ეხლა ცდილობენ დანაშაულის გასწორებას: აცხადებენ რუსეთი გერმანიასთან ისევ საომარ დამოკიდებულებაშია და ბრესტის ზავს არ ვღებულობთო. ამ მიზნით, როგორც მათ განაცხადეს, ისინი ხელს უწყობენ უკრაინის აჯანყებას და ველიკორუსიის ზოგიერთ ადგილას ჯარების გერმანიის საწინააღმდეგო შეტევისაკენ მოუწოდებენ. საბჭოების მეხუთე სიეზდზე მემარცხენე ესერებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ უკრაინაში მათ აფეთქეს ჯარებიანი მატარებლები, ხიდები, ქარხნები და სხვ., „დაეხმარეთ აჯანყებულ უკრაინას, ომი გერმანიასო“, გაჰკიოდნენ ისინი სიეზდზე ბალშევიკების მიმართ, რომელთაც წამდაუწუმ ამკობდენ შემდეგის ეპიტეტებით: მირბახის ლაქიებო, გერმანელების მსახურებო და სხვ. ბალშევიკები სულგანაბული უსმენდენ მემ. ესერებს და მთელის თავის გავლენით იცავდენ ბრესტს. კამათის დროს ზალაში იყვნენ გერმანიის წარმომადგენელნიც, რომელნიც მრავალ ჯერ მონათლეს ესერებმა ჯალათების სახელით. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ გერმანიის წარმომადგენელნი შეურაცყოფილნი გავიდნენ; გაიქცნენ ესერებიც, რაკი დარწმუნდნენ, რომ მათი რეზოლიუცია არ გავიდოდა. დარჩენილმა ბალშევიკებმა ერთხმად მოიწონეს საბჭოთა რესპუბლიკის, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა. ისინი მაგრათ ხელჩაჭიდებულია ბრესტზე, ვინაიდან კარგად იციან, რომ თუ ისინი ჯერ კიდევ ბოგინობენ მოსკოვში, ეს გერმანელების შემწეობითაა.

**7. საგარეო პოლიტიკა.**

მემარცხენე ესერებთან ერთად, თუმცა სრულიად ცალკე ამოძრავდენ მემარჯვენე ესერებიც; მათი მეთაური კერენსკი თავისებურის სისწრაფით დაქროლავს ლონდონსა და პარიზშიც და მოწადინებულია ყოფილ მოკავშირეთა დახმარებით ისევ ჩაითრიოს რუსეთი ომში. მასთან ერთად არიან ყოველ დროებითი მთავრობის ზოგიერთი წევრებიც. ალბათ მათი ცდის ნაყოფია, რომ ჩრდილოეთ რუსეთში, მურმანში უკვე გადმოსხეს მოკავშირეებმა ჯარები და განზრახული აქვთ იაპონიასთან ერთად შეერთების შემდეგ გერმანელებს რუსეთის ფრონტიდან შეუტიონ. რასაკვირველია, რუსებსაც დაიხმარებენ. ეს კითხვა დღეს ისე სერიოზულად დგას, რომ ბალშევიკები თავზარდაცემულნი არიან. ან უნდა შეებრძოლონ მურმანში გადმოსულ უწინდელ მოკავშირეებს და მით ფაქტიურად გერმანიას ამოუდგნენ გვერდით და ან პირიქით უნდა მოიქცნენ. ბალშევიკებმა პირველი ამჯობინეს და უკვე გაგზავნეს ძალები მურმანში მოკავშირეების საწინააღმდეგოთ. ასე რომ დღეს ბალშევიკები გერმანიასთან ერთად ებრძვიან საფრანგეთს, ინგლისს, იტალიას, იაპონიას, ამერიკას და სხ. ეჭვი არ არის, რომ ეს ბრძოლა უთანასწორო იქნება, რაკი ასეთი საშინელი ძალა დაიძრა რუსეთის საწინააღმდეგოთ, შეიძლება გადაჭრით ვთქვათ, რომ იგი ერთხელ კიდევ შესვამს შხამით სავსე ფიალას და შეიძლება დიდის ხნითაც გაინართხოს საქვეყნო იმპერიალიზმის წინაშე. ყოველ მხრივ დაუძლურებულს, ეკონომიურათ გაპარტახებულ და შინაგანის ბრძოლით ქანცმილეულ რუსეთს, თუნდაც გერმანელებიც დაეხმარონ, არას გზით არ შეეძლება იმპერიალისტების ხროს წინაშე გამაგრება და დღეს გერმანიაში ბრძოლის დაწყება პირდაპირ საკუთარი სამარის გათხრაა. ასეთივე აქტი იქნებოდა მემარცხენე-ესერების გზაზე შედგომაც და გერმანელებთან შებრძოლება. საითაც გავიქეცი, ყველგან წავიქეციო, შეუძლია სთქვას ლენინმა, რომელსაც კარგად უნდა სცოდნოდა, თუ რა ყულფში ყოფდა თავს, როცა ბრესტის მოლაპარაკებას იწყებდა. ყველაფერი ეს მან ჩაიდინა დასავლეთ ევროპის მოსალოდნელი რევოლიუციის ზერელე იმედით, დღესაც ამით ინუგეშებს თავს—შიმშილი მოედო ევროპას და დღეს თუ არა ხვალ აჯანყება იფეთქებსო. დიახ, ასე ინუგეშებს იგი თავს, მაგრამ. . ვაი რომ მრავალტანჯულ რუსეთს პეტრეს მოსვლამდე ტყავი ძვრება და შეიძლება დიდის ხნითაც კი გამოთიშოს საერთაშორისო პროლეტარიატის ოჯახს. კიდეც რომ მოხდეს ის რევოლიუცია, რომელზედაც ამდენი ხანია ლენინი ოცნებობს, რუსეთის მშრომელი მასა მაინც ვერ იგემებს ღირსეულად მის ნაყოფს: სისხლით დაცლილს, მხეცურ ინსტიქტებით შეპყრობილს, ძმათა სისხლის მღვრელს, შიმშილით დაუძლურებულს და ერთიანად გაველურებულს დიდხანს არ ექნება ადგილი კულტუროსან ხალხთა შორის.

აი ასეთია საზოგადოდ დღევანდელი რუსეთის მდგომარეობა.

თავისთავად იბადება კითხვა—შეეძლო თუ არა ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას ჩვენი განაპირა ადგილის მოვლა და პატრონობა? გადაგვარჩენდა ოსმალთა შემოსევისაგან? პასუხია აშკარა: თითონ დამონებული და დაუძლურებული ჩვენ ვერას გვიშველიდა.

ვ. ხუროძე.

# ახალი ამბები

დღეს, დილის ათ საათზე შესდგება ს. დ. მ. პ. ორგანიზაციების საოლქო კომიტეტის კრება.

**ჩხრეკა.** 5 აგვისტოს ღამით, სახალხო გვარდიელებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმის უფროსისა და მილიციის უფროსის თანდასწრებით, გაჩხრიკეს მანთაშევის ქარვასლა, რომელსაც იცავდა 60 შეიარაღებული სომხის ჯარის კაცები. მცველებმა ნება არ მისცეს ჩვენ გვარდიელებს გაჩხრეკის, ამიტომ სახალხო გვარდიამ მათ იარაღი აყარა. გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს მრავალი დაბეჭდილი საწყობები. სომხის დიპლომატიურ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს საწყობები სომხის რესპუბლიკას ეკუთვნისო. სახალხო გვარდიამ ხელი არ ახლო დაბეჭდილ საწყობებს. სხვა საწყობების გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს აუარებელი საომარი მასალა და იარაღები. მას ჩვენი მცველები დაუყენეს.

**განმარტება.** გავრცელებული ხმები, თითქოს საქართველოს მთავრობას წინადადება მიეცეს იმ პირთათვის, რომლებმაც სალიკვიდაციო მიიღო გასულიყვნენ საქართველოს ტერიტორიიდან, სიმართლეს მოკლებულია. 5 აგვისტოს შესდგა ტაშკოვის თავმჯდომარეობით სახელმწიფოს მოსამსახურეთა კავშირის კრება, სადაც გამოირკვა შემდეგი: საქართველოს ტერიტორიიდან უნდა გავიდნენ ის პირნი, რომლებმაც მიიღეს არა მარტო სალიკვიდაციო, არამედ სამგზავრო ფულიც. ამის შესახებ რუსთაველ. საბჭომ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს მთავრობის წინაშე დარჩნენ ისინიც საქართველოში, თუ უკანასკნელნი ფულს დააბრუნებენ.

**თფილისის ქართველ ვაჭარ-მრეწველთა საბჭოს,** რომლის ინიციატივით დაარსდა ამხანაგობა „შაქარი“, განზრახული აქვს დაარსოს ორი სააქციო საზოგადოება: 1) თუთუნის ქარხნისა და 2) ყოველგვარ საქონლის საწყობებისა, რომელიც შეღავათიან პირობებით მიაწოდებს საქონელს ჩვენს წვრილ ვაჭრებს. ვაჭარ მრეწველთა კავშირი ასეთ ამხანაგობებისა და სააქციო საზოგადოებათა დაარსებაში იჩენს მხოლოდ ინიციატივას, ადგენს წესდებას და თავს უყრის კაპიტალს; ხოლო თვითონ, როგორც კავშირი, კაპიტალით მონაწილეობას არ იღებს.

**კვირას,** 11 აგვისტოს დილის 10 საათზე ბორჯომში ამხ. დეკანოზიძის ბინაზე შესდგება ალექსანდროპოლის რ. ს. დ. მ. პ. (მენშევიკების) კომიტეტის წევრთა კონფერენცია. კომიტეტის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

**ხოლერა.** უკანასკნელ დღის განმავლობაში ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს სხვადასხვა ადგილებიდან 6 ხოლერით და 13 ხოლერის ნიშნებით ავადმყოფი. მორჩა 10, გარდაიცვალა 5 ხოლერიანი და 3 ხოლერის ნიშნებით ავადმყოფი.

**მთავრობამ მოიწონა** ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების მოხსენება და დაადგინა ეწოდოს მას თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**მთავრობამ გააუქმა** მომრიგებელ შუამავალთა ინსტიტუტი.

**ბრძანება ჯარებისადმი.** საქართველოს ჯარების სარდალმა ბრძანება გასცა ყველა სამხედრო დაწესებულებებში მყოფ მოსამსახურეთა საყურადღებოთ, რომლის ძალით უკანასკნელნი ვალდებულნი არიან თავიანთ მოქმედებაში იხელმძღვანელონ მთავრობის იმ ბრძანებით, რომელიც მოთავსებული იქნება მთავრობის ოფიციალურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში.

**თფ. გუბერნიის შრომის კომისარიატი** 7 აგვისტოდან მოთავსებულია პეტრე დიდის ქუჩაზე № 8, მაღლა სართულში, შრომის სამინისტროს გვერდით.

**სავაჭრო პალატა.** თფილისის ქართველ ვაჭარ მრეწველთა კავშირმა იკისრა დაარსოს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, შეადგინა მისი წესდება და აგრეთვე საარჩევნო ინსტრუქცია, რომელიც მთავრობამ უკვე დაამტკიცა. ამ ჟამად კავშირი ადგენს ვაჭარ-მრეწველთა სიებს და ახლო ხანში მოიწვევს მთელ საქართველოს ვაჭარ-მრეწველთა ყრილობას, რომელმაც უნდა დააფუძნოს პალატა და აირჩიოს მისი კომისია.

**აფხაზეთის საქმეთა მინისტრის** მოხსენებით მთავრობამ დაადგინა, მიანდოს სამხედრო მინისტრს შეადგინოს აფხაზეთში ინტერნაციონალური რაზმი.

**პოლიტეხნიკუმი.** თფ. ქალაქის თავმა სთხოვა აძერბეიჯანისა და სომხის რესპუბლიკის მთავრობას, თფილისის პოლიტეხნიკუმის შესანახად და აშენებაში მათაც მიიღონ მონაწილეობა, ვინაიდან ეს არის ინტერნაციონალური უმაღლესი სასწავლებელიო.

**სპეკულიანტების წინააღმდეგ.** მილიციის უფროსის განკარგულებით მიღებულია ყოველი ზომები ქუჩაში პურის ვაჭრობის წინააღმდეგ. პური ფურნეებში და თორნეებში უნდა გაიყიდოს.

**გარნიზონის უფროსმა** დაატუსაღა 6 აგვისტოს გარნიზონის შტაბის ჯარისკაცი ხეტლაური სახალხო გვარდიელი ციკლაურის მოკვლისათვის.

**ქურდობა.** 6 აგვისტოს ინჟინერ ვექილოვის ბინიდან ბოროტ გამზრახველებმა წაიღეს 30 ათასი მანეთის ნივთები.

— 5 აგვისტოს ბოროტ გამზრახველებმა შახბუდაგოვის ბინიდან, რტიშევის ქუჩა, № 20, სახლში არ ყოფნის დროს წაიღეს 50 ათასი მანეთის სხვადასხვა ნივთები.

**სასურსათო საქმეთა სამინისტრომ** მიმართა ფოთის სადგურის უფროსს, რომ გასაგზავნი მარილი მიიღონ მხოლოდ ფოთის სასურსათო საქმეთა სამინისტროს განმანაწილებელ ბიუროსაგან. გაგზავნა მარილისა კერძო პირთაგან აკრძალულია, რა მისამართითაც არ უნდა იყოს. განმანაწილებელი ბიურო წინადადებას აძლევს მარილი მიიღოს გასაგზავნათ სასურსათო საქმეთა სამინისტროს აგენტებისაგან. სხვა პირების მიერ მოტანილი მარილი ფოთში უნდა ჩამოერთვას. ფრანკო-ვაგონი 6 მან. 80 კ. ფუთი. ამ ფასში შედის ყოველგვარი გადასახადი.

**ოზურგეთიდან** გვატყობინებენ: გვარდიელების, ჯარის და ხალხის ენერგიულმა ცდამ მიზანს მიაღწია. აღმოაჩინეს ფოსტაზე თავდამსხმელნი. ყაჩაღი მიქაბერიძე გამოტყდა და დაასახელა მონაწილეები. მეორე მიქაბერიძე მოკლეს. ყაჩაღმა ჭყონიამ დაჭერის დროს თავი მოიკლა. გატაცებული ფულის ნაწილი მას აღმოაჩნდა. დაჭერილია ნატანების ფოსტის უფროსი ჭყონია და ზოგიერთი საეჭვო პირები. მთელი გურია ფეხზე დგას.

**ქუთაისიდან** გვატყობინებენ: 20 ივლისს წითელ ხიდთან მიშა დოლიძის და მიხეილოვის მკვლელობის მონაწილენი—ჭელიძე, ლომჯარია და ფირცხალაიშვილი დაუპატიმრებიათ და სათანადო მთავრობისთვის გადაუციათ.

**ლექცია-სინემატოგრაფი.** დღეს პირველი რაიონის მუშათა კლუბის შენობაში (ნაძალადევი) ამხ. არსენიძე წაიკითხავს ლექციას: „სოციალიზმის ისტორია“. ლექციის შემდეგ სინემატოგრაფი გაშლილ ჰაერზედ.

**გურიის დამხმარე კომიტეტმა** მიიღო თედორე კიკვაძისაგან 1800 მან. ეს ფული შემოსწირეს: იასონ დავითის ძე ესაძემ 400 მ., კოსტა ბეჟანის ძე ქუთათელაძემ 400 მან. და ეფრაიმ კურჩიშვილმა 1000 მ.

**საოლქო კომიტეტმა** ს. დ. მ. პ. მიიღო ფოთის ს. დ. ორგანიზაციისაგან გ. პლეხანოვის სახელობაზე გამართულ საღამოზე შემოსული ფული შვიდასი მანეთი გ. პლეხანოვის ფონდის გასაძლიერებლად.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია მე 3 რაიონის კოლექტივის კრება კოლექტივის ბინაზე.

— დღეს, საღამოს 6 საათზე კოლექტივის ბინაზე შესდგება მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა კრება,

— დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია კრება მე-2 რაიონის კოლექტივის ბინაზე.

# პროვინციის ქრონიკა

**საგარეჯო.** კვირას, 11 მარიამობისთვეს (ხალხის სახლში) [illegible] შუადღის 12 საათზე გაიმართება დიდი მიტინგი, სადაც თავს მოიყრიან მთელი ივრის ხეობის მცხოვრებნი. ამავე დღეს საღამოს 6 ნახ. საათიდან გაიმართება დიდი საღამო, ლექციას წაიკითხავს ამხ. რ ფიელ ჩიხლაძე, იმღერებს ქალ-ვაჟთა მომღერალი გუნდი, დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი, გაიმართება წარმოდგენა, აჩვენებენ ცოცხა სურათებს, მოწყობილი იქნება სხვა მრავალი გასართობები.

**ერედვი** (ცხინვალის რაიონი). ამ სოფელში თავადები დადიან და გლეხებს აშინებიან: ლალა გადაიხადეთ, თორემ წითელი გვარდიელები და გერმანიის ჯარები ჩამოვა და ყველაფერს ძალით გადაგახდევინებენო. შავრაზმელი თავადების მიერ გავრცელებული ხმები გლეხკაცობას მეტად აღელვებს. გლეხებმა წარმომადგენლები გაგზავნეს მთავრობასთან საქმის გამოსარკვევად. საჭიროა პროვოკატორების წინააღმდეგ დროზე იქნას მიღებული საჭირო ზომები.

# საქართველოს ეროვნული საბჭო

6 აგვისტოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ექ. თაყაიშვილი.

მდივანი აქვეყნებს მთელ რიგ კანონ-პროექტებისას, რომლებიც საბჭომ გადასცა სათანადო კომისიებს. სარედაქციო კომისიის თავმჯდომარე რ. არსენიძე კითხულობს წინა სხდომაზე მიღებულ კანონ-პროექტებს საბოლოო რედაქციით. საბჭო ამტკიცებს სარედაქციო შესწორებებს.

**შ. მიქელაძე** (ს. ფ.) სამანდატო კომისიის სახელით ამბობს, რომ გასული წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრად არჩეული იყო ცნობილი ქართველი მაჰმადიანი მამედ-ბეგ აბაშიძე. საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების დროს ხსენებული აბაშიძე საქართველოში არ იმყოფებოდა, ამიტომ ეროვნულ საბჭოს სიაში არ მოხვდა. ეხლა კი აქ ჩამოვიდა და სურვილი განაცხადა საბჭოს წევრობაზე, სამანდატო კომისია სთხოვს საბჭოს დაამტკიცოს აბაშიძე საბჭოს წევრად. საბჭომ სამანდატო კომისიის წინადადება მიიღო.

განსახილველია ეროვნულ-დემოკრატების მიერ შეტანილი საკანონმდებლო წინადადება საერობო არჩევნების გადადების შესახებ. მომხსენებელი მ. კლიმიაშვილი ამბობს, რომ ადგილობრივი მართვა-გამგეობის და თვითმართველობის კომისიამ უარყო ნაციონალ-დემოკრატების წინადადება საერობო არჩევნების შესახებ. კომისია ფიქრობს, რომ ერობის დაჩქარებით შემოღება აუცილებლად საჭიროა, რადგანაც მისი დაგვიანება ხელს უწყობს ანარქიის გაძლიერებას. მასთან საქართველოს სხვადასხვა ადგილას ცუდ მდგომარეობაშია გზები, სკოლები, საავადმყოფოები, ყველას სჭირია მოვლა პატრონობა ამიტომ ერობის არჩევნები უნდა მოხდეს, სადაც ეს შესაძლებელი იქნება. არის ფინანსიური მოსაზრებაც: საერობო არჩევნებზე უკვე დაიხარჯა 43,000 მ. ზოგ ადგილას უკვე დაწყებულია არჩევნები, ახლა თუ გადავდევით, მაშინ ხელ ახლა იქნება საქმე მოსაწყობი და ზემო აღნიშნული თანხა უნიშვნელოთ დაიკარგება. აი ყველა ამ მოსაზრებების გამო კომისიამ ნაც. დემ წინადადება უარყო.

**ალ. ახათიანი.** (ერ. დ.) ერ. დემ. საკანონმდებლო წინადადებას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში. თქვენ აქ მოისმინეთ მომხსენებლის საბუთები ჩვენი წინადადების უარყოფის შესახებ. ეს საბუთები საკმარისი არ არის. ერობის შემოღების გარშემო მუშაობა დაწყებულია შემცდარი გზით, აზრით, საჭიროა ეს უარვყოთ და შევქმნათ ახალი აზრი, ახალი სისტემა. დღეს საქართველოს რესპუბლიკის მრავალ ადგილას ანარქიაა გამეფებული და არჩევნები ჩვენ ვერ მოგვცემს ხალხის ნამდვილ სურვილის გამომხატველ ორგანიზაციას. შეუძლებელიც არის არჩევნების მოხდენა: ჩვენ არ გვაქვს ისეთი მაგარი ადმინისტრატიული აპარატები, რომლის საშვალებით შეიძლებოდეს არჩევნების ჩატარება; იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც ამიერ-კავკასიის კომისარიატს ჰქონდა შემუშავებული ამ რთული რეფორმის ცხოვრებაში გატარება დაეკისრა აღმასრულებელ კომიტეტებს, რომლებიც დღეს ან სულ არ არსებობენ, ან თუ არსებობენ, ძალიან სუსტათ აღმ. კომიტეტები ამ დანაკისრ როლის შესრულებას ვერ შესძლებენ. ვერც საერობო კომიტეტები მოახერხებენ უმტკივნეულოთ ერობის შემოღებას. ყოვლად შეუძლებელია ერობის არჩევნების წარმოება იმ დროს, როცა არჩევნებზე მცხოვრებთა 6—8 პროცენტიც არ ცხადდება. ამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

...როვ. დემ. ფრაქცია მოითხოვს ...ბულ იქნას საერობო არჩევნები, ...ლოს საარჩევნო წესი, სისტემა, ... ხალხს საშუალება არა მარტო ...ულ სიებს უყაროს კენჭი, არამედ ...ნალურადაც აირჩიოს და სხ.

...გობეჩია. (ს. რ.) ჩვენი პარტიის ... საერობო არჩევნები აუცილებ...უნდა გაგრძელდეს. ანარქია, რო... დღეს სხვადასხვა ადგილას მძვინ..., მოითხოვს ადგილობრივი თვითმ...ელობის საქმეების მოწესრიგებას. ...ს დღევანდელ არა ნორმალურ ...ბებში არ შეუძლია მოაწყოს ყველ...ზები, საავადმყოფოები, მოსპოს სა...ის ჭირი და სხვა. აქ სთქვეს, რომ ...კომ. ან სულ არ არსებობენ, ანუ ...ად არსებობენო, მე უნდა განვაცხ..., რომ მათ თავიანთი როლი ჩინე...თ შეასრულეს. ისინი რევოლიუ... წარმოშვა და თუ ახლა სუსტია ...ავე რევოლიუციის მსვლელობით ...ება. ახლა კი ახალი ორგანიზაცია— ...ობო თვითმართველობა უნდა იქ...შემოღებული. ბ. ასათიანმა აქ სთქვა, ... საარჩევნო წესი არ არის კარგი ...აპაროა მისი შაცვლაო. ამას ამ... ის ჯგუფი, რომელიც 1916 წ. სა...ბო თათბირზე 1890 წლის საერო...ებულებებს იცავდა. დემოკრატიულ ... კი იწუნებს, ეს ჩვენ არ გვიკვირს. ... ფრაქცია მოითხოვს ნაც.-დემ. წი...დება უარყოფილ იქნას.

... არხენიძე ეროვ. დემ. თავის წი...დებას დაარქვეს საკანონმდებლო ...დადება. იურიდიული და სახელმწი...ბრივი თვალსაზრისით ამ წინადადე... არავითარი საკანონმდებლო ხასია... არა აქვს. ეს უფრო აღმასრულებე... ორგანოსა საქმეა. მე ძლიერ მიკ...ს რათ შემოაქვს ამ ერთად ერთ ...ხელმწიფოებრივ პარტიას" არა სა...მწიფოებრივი წინადადება. მე არ ...ებები ასათიანის სიტყვას, რომელიც ...ნიერულიც იყო და არა მეცნიერუ..., მხოლოდ ვიტყვი, რომ საერობო ...ევნები უნდა გაგრძელდეს და ეს არა ...ანონმდებლო წინადადება საბჭომ ...ა უარყოს.

...დ. ჩიქოვანი (რად. დემ.) მე საჭი...ად მიმაჩნია არჩევნების გადადება, ...დგანაც ერობა ანარქიას ვერ მოს...ბს. ჯერ უნდა გატარდეს მიწის რე...რმა, ცხოვრება ასე თუ ისე ნორმა...ურ პირობებში ჩადგეს და შემდეგ ...და იქნას საერობო არჩევნები. დღე...ნდელ არა ნორმალურ პირობებში ...ენ ნამდვილ ერობას ვერ მივიღებთ. ...ბჭომ უარყო ნაც. დემ. საკანონმდებ...ო წინადადება.

...კ. ნინიძე აგრარული კომისიის სახე...ით აკეთებს მოხსენებას მთავრობის ...ნონ-პროექტის შესახებ, რომლის ძა...ით ნება-დართული უნდა იქნას გაყიდ... იმ მიწების, რომელიც 3 მარტის კა...ონში აღნიშნულ ნორმას არ აღემატე.... აგრარულ კომისიაში მიწათ-მოქმე...ების სამინისტრომ შემოიტანა კანონ...როექტი, რომლის ძალით ნორმაზე ქვე...ით ნებადართული უნდა იყოს მიწის ...ადვა-გაყიდვა. აგრარულ კომისიამ ეს ...ანონ-პროექტი უარჰყო, რადგანაც ამ ...ხლო მომავალში გამოიცემა მიწის ახა...ი კანონი, სადაც ეს მუხლიც შევა და ...აშინ გაირჩევა.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი პ. გელეიშვილი ეთანხმება კომისიის აზრს და კანონ-პროექტი უკან მიაქვს.

გ. ბადრიძის მოხსენების შემდეგ საბჭომ მიიღო უკამათოდ კანონ-პროექტი 1917 წლის 25 ივლისის მუშათა დაზღვევ კანონის მე 65 მუხლის შეცვლის შესახებ.

1917 წლის 25 ივლისის კანონის მე-65 მუხლის ის ნაწილი, სადაც ნათქვამია: „ის პირნი, რომელნიც დღიურ შრომის ხელფასს ათ მანეთზე მეტს იღებენ, ან წლიური ჯამაგირი მათი აღემატება 3,000 მანეთს, საწევრო გადასახადს იხდიან მხოლოდ დღიური ქირის ათი მანეთის ანგარიშიდან", უნდა შეიცვალოს ამ გვარად:

ის პირნი, რომელნიც დღიურ შრომის ხელფასს ოცდაერთ მანეთზე მეტს იღებენ, ან წლიური ჯამაგირი მათი აღემატება 6,300 მანეთს საწევრო გადასახადს იხდიან მხოლოდ დღიურ ქირის ოცდა ერთი მანეთის ანგარიშიდან.

კამათი გრძელდება მ. ვეშაპელის შეკითხვის გამო.

მ. ფაჩუაშვილი. (ს.-რ.) როცა ოსებს საშინელ ბრალდებას უყენებთ, მაშინ საბუთებიც უნდა გქონდეთ. ვეშაპელმა მოიყვანა აქ თავისი ბრალდების დასამტკიცებლად ორიოდე საგაზეთო წერილი, რომელიც თავისი სუბიექტიური ხასიათის გამო, ისტორიულ საბუთად სრულებით არ გამოდგება. განა მარტო ოსეთში მოხდა მოძრაობა? განა ოსეთი იყო დამნაშავე სამეგრელოს, დუშეთის, ლეჩხუმის მოძრაობაში? როდესაც ვეშაპელი იმ საშინელ ბრალდებას მარტო ოსებს ახვევდა, მაშინ მან სთქვა, რომ ოსები არ ეგუებიან საქართველოს დამოუკიდებლობას და ამიტომ ილაშქრებენ ჩვენს წინააღმდეგ იარაღით ხელშიო. მე ვეკითხები ბ. ვეშაპელს: სად იყო გორის, ცხინვალის, ლეჩხუმის ამბების დროს საქართველოს დამოუკიდებლობა? აქ სამართლიანად შენიშნეს, რომ ნაც. დემ. ასეთ შეკითხვებს შეუძლია საქართველოს დამოუკიდებლობას ძირი გამოუთხაროს, ერთა შორის მტრობა, შური დასთესოს. აქ შ. ქარუმიძემ განაცხადა, რომ ოსეთი და ოსები ეს საბედისწერო მუწუკებია ჩვენს ტანზე და როგორც ასეთი, უნდა მოვიშოროთო. ეს განა ოსებს და ქართველებს შორის შუღლს არ ჩამოაგდებს? ჩვენის აზრით ოსების ინტერესებიც უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ჩვენს ტერიტორიაზე, მათ აუცილებლათ უნდა მიეცეს კულტურული, ანუ ტერიტორიალური ავტონომია.

ფარნიევი (ს.-დ.). ნაც.-დემ. პარტია ოსებს საშინელ ბრალდებას უყენებს, ხოლო დასამტკიცებლად არც ერთი საბუთი არ მოყავს. აქ გამოდიან და მთავრობას უსაყვედურებენ, რომ აჯანყებულების წინააღმდეგ ზომებს არ ღებულობო. ჩვენ ყველანი ვხედავთ, რომ მთავრობა ყოველივე ღონეს ხმარობს აჯანყების მოსასპობათ და თუ მაინც უსაყვედურებენ მას უმოქმედობას, ეს იმით აიხსნება, რომ მათ (ნაც.-დემ.) სურთ საბჭოს ლაპარაკში გაატარებინონ მეტი დრო და ნამდვილ სახელმწიფოებრივ ღმშენებლობითი მუშაობას მოაშორონ (ხმები: მართალია!). აქ გრ. ვეშაპელმა სთქვა, რომ ოსურ ნაციონალურ საბჭოს წინააღმდეგ ზომები უნდა იქნას მიღებულიო, რადგანაც ნაც. დემ. არ მოსწონთ ეს საბჭო. მაგრამ რა ვუყოთ, ნაც. დემ. არ მოსწონთ არამც თუ მარტო ოსური ნაციონალური საბჭო, არამედ—სხვა ნაციონალური საბჭოები და რევოლიუციონური ორგანიზაციებიც, თუ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელსაც ჰყავს ჯარი, აქვს შესაფერი ტეხნიკა და მაინც ვერ მოსპო ანარქია, მაშინ როგორ შეეძლო ოსურ ნაციონალურ საბჭოს მოესპო ანარქია? ეროვნულ დემოკრატებს სურთ ჩვენი მთავრობა შეაჯახონ ისეთ ერს, რომელსაც საქართველოსთან ბევრი კარგი და მწარე დღეები უნახავს და რომელსაც საქართველოს რესპუბლიკაში ვოფნა სურს. (მე ნაციონალისტ. მხედველობაში არა მყავს) აქ შ. ქარუმიძემ თიანეთის მაზრა ბედნიერ კუთხედ დასახა, თითქოს იქ ყველა ნაციონალ-დემოკ. იყოს მე მას არ ვეთანხმები. მე მხოლოდ ვიტყვი, რომ მათმა შაქრო გელოვანმა თიანეთის კომისარიატი გაძარცვა (ცნობები მოიკითხეთ სამინისტროში — ადგილიდან ეუზნებიან ნაც.-დემოკრატები) შეიძლება სამინის. ეს ფაქტები არ იყოს, მაგრამ ჩვენ სამინისტროში არ დავბადებულვართ, ჩვენი ასპარეზი მინისტრის კაბინეთის გარეშეც არის (ტაში). თქვენ როცა ასეთ შეკითხვებს აყენებთ, მაშინ გსურთ ამითი საქართველოს ხელმძღვანელ პარტიას რამე გამოაკლოთ, ხოლო სახელმწიფოს ინტერესები სულ არ გაინტერესებენ. ყველგან ყველა მოქალაქენი იცავენ სახელმწიფოს ინტერესებს. ავიღოთ მაგ. შვეიცარია; იქ ფრანგი, ნემეცი და სხვები ერთნაირად ემსახურებიან შვეიცარიის ინტერესებს (ვეშაპელი ადგილიდან: წადით თქვენ იქ) ჩვენ იქ რო წავიდეთ არაფერი გვიშავს, მაგრამ თქვენ (ნაციონალისტებს) იქ ერთ დღესაც არ გაგაჩერებენ. (ტაში). თქვენ მართლაც გინდათ წავიდეს ოსის ერი სადღაც, მაგრამ წასვლა შეუძლია მას, ვინც გუშინ ან დღეს მოვიდა და არა იმ ხალხს, რომელსაც ქართველებთან ერთად საუკუნოებით უცხოვრია.

ა. სიგუა.

(დასასრული იქნება).

## პარლამენტის გარშემო

მთავრობამ მოიწონა და ამ დღეებში გადაეცემა სათანადო კომისიებს შემდეგი კანონ-პროექტები: განათლების მინისტრის კანონ-პროექტი სამასწავლებლო ინსიტუტის და სემინარიის გაეროვნების შესახებ. კანონ-პროექტი შესდგება 4 მუხლისაგან 1. დაიკეტოს თფილისის ინსტიტუტსა და გორის სემინარიასთან ეროვნული განყოფილებები.

2. ცნობილ იქნას ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტი, გორის, ხონის და სოხუმის სემინარიები ქართულ ეროვნულ სასწავლებლად. 3. გაიხსნას სოხუმის სემინარიასთან აფხაზური განყოფილება. 4 განეძრახს ოთხსავე სასწავლებელს მთავრობისაგან კრედიტის გაღება თანახმად უკვე არსებულის ხარჯთ აღრიცხვისა, თვითეული სასწავლებლის ძირითად კლასებისათვის, ხოლო სოხუმის სემინარიის აფხაზური განყოფილებისათვის. იმავე მინისტრის კანონ-პროექტი—„განათლების" საზოგადოების თამარის სახელობის ქალთა საზოგადოების ქალთა საოსტატო სემინარიის მთავრობის გამგებლობაში გადასვლის შესახებ. კანონ პროექტის ძალით ხსენებული სასწავლებელი მთელი თავისი ქონებით და მოწყობილობით უნდა გადავიდეს მთავრობის გამგებლობაში და ცნობილ უნდა იქნას სახელმწიფო სასწავლებლად. იმავე მინისტრის მიერ არის შეტანილი კანონ-პროექტი, რომლის ძალით მინისტრს უნდა გაეხსნეს 1960 მ. კრედიტი თფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში ზაფხულში სწავლის გაგრძელებისათვის გაწეულ ხარჯების დასაფარავად.

კანონ-პროექტი იუსტიციის სამინისტროსი ხარჯთ-აღრიცხვით 5,697 მ. 86 კაპ. დამატებითის კრედიტის გახსნის შესახებ ქუთაისის საოლქო სასამართლოში გადარიცხულ ყოფილ ერევნის საოლქო სასამართლოს ოლქის სამის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწის თანამდებობის შესანახად.

## ფოსტაზე თავდასხმა

(წერილი ოზურგეთიდან).

კვირას, 4 აგვისტოს, ნატანებში დილის მატარებელს დახვდა ოზურგეთის საბარგო ავტომობილი მგზავრების წასაყვანათ. ავტომობილზე მოთავსდა 28 კაცი, მათში უმეტესობა იყო სოფლის მოღვაწე პირები, დაშეულ სოფლებიდან პურის საძებრათ ხალხის დავალებით წასულნი. სადგურის ფოსტის უფროსმა ავტომობილი საათზე მეტს გააჩერა, ფოსტა მხოლოდ მერმე მისცა. არავის არ ეგონა, თუ ფოსტის ჩანთაში აუარება ფულები იყო, თორემ მგზავრები ან ზომას მიიღებდენ, ან არ გაყვებოდენ. ფოსტას ახლდა მხოლოდ ერთი მილიციონერი, ილიკო ტულუში. მეოთხე ვერსზე ავტომობილის ხიდე გადახერგული დახვდა და იქვე ჩასაფრებულმა ასტეხეს სროლა და პირველი ტყვიით მოჰკლეს ამხ. ილიკო ტულუში. შემდეგ სასიკვდილოთ დაეცა დავით გუგუნავა. შემდეგ მოჰკლეს შემოქმედის კოოპერატივის გამგე ყოფილი ჯარისკაცი (და იქ დაბრკოლებული) ამხ. იაკინთე მამულაიშვილი. დაიჭრნენ სასიკვდილოდ გვარდიელი ამხ. მიხაკო მახარაძე, კლავი მოსტეხეს მოხუც ამხ. თომა ჭანიშვილს, დასჭრეს ოზურგეთში სტუმრად მიმავალი მეგრელი ქალი. ავაზაკებმა გატ ცეს მხოლოდ ფოსტის ჩანთა, რომელშიაც იყო 250,000 მ. მეტი. მგზავრებს კი, რომელთაც თან ჰქონდათ საზოგადოების ფული—ერთს 50 ათასი, მეორეს ამაზე მეტი და საერთოდ კი არა ნაკლებ 200,000 მ. არ წაუღიათ. იმავ წუთში ფეხზე დადგა მიქელ გაბრიელის საზოგადოება, (სადაც ამ დროს კრება ჰქონდათ), როცა ავტომობილი ოზურგეთში ამოვიდა, მთელი ოზურგეთი ფეხზე დადგა, აფრინეს სოფლად კაცები, ხელად შეკრეს გზები—ნატანებიდან ნაგომრამდე. ორშაბათს დილით ერთი ავაზაკთაგანი, ჩიჩხათელი ალფეს მიქაბერიძე ნატანების სკოლაში შენიშნეს და რადგან ის არ დანებდა და სროლა ასტეხა იქვე მოჰკლეს მილიციონერების დახმარებით. მას აღმოაჩნდა სხვადასხვა საბუთები, რომელიც აშკარად ამტკიცებენ, რომ ის ერთი თავდამცემთაგანია. ხალხი დარწმუნებულია, რომ ავაზაკებს ყველას შეიპყრობენ და მათ ხელის მომწყობ ორგანიზატორსაც მიაგნებენ. მოსალოდნელია ამას მოყვეს გურიის გაწმენდა ავაზაკებისაგან.

4 აგვისტოსავე ღამით ექვით დაატყვევეს: გოგოლაშვილი, გურგენიძე, გუჯაბიძე და ჭყონია. ამ ღამესვე ღამით ჩოხატაურში დაატყვევეს ვინმე ბარამიძე, რომელსაც აღმოაჩნდა ყალბი დოკუმენტები და 23,000 მ. ფული.

X.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### რას სწერენ რუსი ამხანაგები ჩვენს შესახებ?

მოსკოვის სოციალდემოკრატიულ გაზეთ „ისკრაში" (29 ივნისის ნომერში) მოთავსებულია ამხ. ა. მარტინოვის წერილი, სადაც ის ეკამათება ბალშევიკურ გაზეთ „პრავდას". ა. მარტინოვი სწერს: „პრავდა" ჩვენ ბრალს გვდებს იმაში, რომ ჩვენ ბალშევიკებისა და კავკასიელ მენშევიკების შეცდომებს სხვადასხვა საზომით ვზომავთ. თითქოს პირველთა შეცდომებს ჩვენ სასტიკათ ვგმობთ და მეორეებს კი—რბილათ ვექცევით.

უნდა გამოვტყდეთ. ჩვენ, დიახაც, სხვადასხვა გვარათ ვაფასებთ ამ შეცდომებს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს „შეცდომები" სხვადასხვა გვარია.

კავკასიელ მენშევიკებმა მიიღეს გმირული ზომები, რომ თავიდან აეცილებინათ კავკასიელ ხალხთათვის—აგრეთვე რუსეთისთვისაც — თათარ გერმანელთა იმპერიალიზმის ბატონობა. და მხოლოდ მაშინ, როცა გამოელიათ უკანასკნელი უმნიშვნელო რესურსები, (რამოდენიმეთ ბალშევიკების სამარცხვინო ღალატის გამო) დაჰყარეს იარაღი.

ბალშევიკებმა კი მიიღეს რა მემკვიდრეობათ დროებით მთავრობისაგან, როცა რუსეთი კიდევ დიდებულ სახელმწიფოთ ითვლებოდა და როცა მისი მდგომარეობა კიდევ არ ითვლებოდა უნუგეშოთ, საბჭოთა მთავრობას შენარჩუნების მიზნით და კომუნისტურ მირაჟისათვის აწარმოეს უგუნური საგარეო და საშინაო პოლიტიკა, რომელმაც გაანიავა დიდებული მემკვიდრეობა და საბედისწერო სახით ბრესტამდე მიიყვანა. ამიტომ ბალშევიკების კაპიტულიაცია იყო არა მარტო უბედურება, არამედ—სასტიკი დანაშაული, რომელმაც გახადა რუსეთი ისეთივე გერმანიის ვასსალათ, როგორც საქართველო—ომში დამარცხებამ. ტყუილათ კი არ სცდილობს ახლად მოვლენილი ბალშევიკების დიპლომატი რაკოვსკი დაუმტკიცოს გერმანიას, რომ მისი ინტერესია ბალშევიკების მხარის დაჭერა—როგორც ერთად-ერთ პარტიის, რომელიც დაინტერესებულია ბრესტის ხელშეკრულების დაცვაში.

ასეთ მდგომარეობაში ჩვენ, თუ არ ხლესტაკოვშჩინათ, სხვათ ვერაფრათ წარმოგვიდგენია ბალშევიკ სოსნოვის მედიდური განცხადება:

„მენშევიკებს მალე სასტიკი განსაცდელის გადატანა მოელით: მათ ბაქოს საბჭოს დროშის ქვეშ ბრძოლა მოუხდებათ თფილისის მენშევიკებთან, რომელთაც ზურგს უმაგრებს თათარ-გერმანელთა კონტრ-რევოლიუცია".

ეს „სასტიკი განცდა" არ შეხვდებათ არა თუ ბაქოს მენშევიკებს, არამედ ბაქოს „მედგარ" ბალშევიკებსაც კი.

თუ რომ ბაქოელ ბალშევიკებს ბრძოლა დაურჩათ რამიშვილის მთავრობასთან მოლ ლატურის გზით საქართველოს თათრებისათვის გადასაცემათ, ამას ისინი იზამენ, როგორც ამას წინეთაც სჩადიოდენ. ეხლა კი, ახალ სიტუაციის დროს, როცა სოციალდემოკრატიულ თფილისზე გალაშქრებამ, შეიძლება ისინი გერმანიის იმპერიალიზმს შეაჯახოს, რომლის ვასსალიც ეხლა საქართველოა, ისინი, ამ გალაშქრებისაგან გონიერათ თავს დაიჭერენ. და თუ ადგილობრივ ბაქოელი ბალშევიკები, თუ მათ ჯერ არ აქვთ შესწავლილი ბალშევიკური დიპლომატია, გადასდგამენ ასეთ ნაბიჯს, მაშინ ცენტრის ბალშევიკები ჩიჩერინის კალმით, რამდენიმე დღეში გაუგზავნიან იოფფეს ბერლინში დაახლოვებით შემდეგ რადიო-დეპეშას:

„ეს არის ცნობა მივიღეთ, რომ თფილისის მიმართულებით ერთი ჩვენი რაზმთაგანი შეეჯახა ნემეცთა „ზასტავას". დამნაშავენი სასტიკათ დაისჯებიან. მოხდენილ იქნება სასტიკი გამოძიება. „კომანდირები" სავედე სამართალში მიეცემიან". (შეადარეთ ეს დეპეშა ჩიჩერინის დეპეშას, რომელიც მან გაგზავნა ბერლინში, ბალშევიკების რაზმის ნემეცთა „ზასტავაზე" თავდასხმის გამო შელევკასთან).

—

### „გაძრომ-გამოძრომა".

გაზეთ „სვობოდნაია ჟიზნში" მოთავსებულია წერილი სათაურით „მემარცხენე კომუნისტთა შორის", სადაც აღნუსხულია მოკლე ანგარიში მემარცხენე კომუნისტის ბუხარინის მოხსენებისა; ბუხარინი, რომელიც უკანასკნელ ხანებში ბერლინიდან დაბრუნდა, ამბობს, რომ გერმანიის პროლეტარიატის ერთი ნაწილი მოქანცულია, იჩენს ყველაფრისადმი გულგრილობას, სკეპტიციზმს და პასსივობას. მეორე ნაწილი კი ბურჟუაზიული კლანკებშია ჩავარდნილი და რევოლ იუციონური მოძრაობა მასზე გავლენას ვერ ახდენს. თუმცა ობიექტიური პირობები მზად არის იმისათვის, რომ მსოფლიო რევ ოლიუციამ იფეთქოს, მაგრამ დაღლილობა, მოქანცულობა ისეთი ძლიერია, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია გამოიჩინოს იმდენი რევოლიუციონური აღფრთოვანება, ძალა და ენერგია, რომ შესძლოს კაპიტალისტური რეჟიმის დამხობა. მიუხედავად ამისა, მისი სიტყვით, გერმანიის პროლეტარიატი დიდს იმედებს ამყარებს ბალშევიკურ რუსეთზე. ამიტომ ჩვენი მოვალეობაა ვსძლიოთ ყველა დაბრკოლებები, არავის დავუთმოთ პოზიციები და გავამაგროთ საბჭოების მთავრობა. მომხსენებელი ამცნობს კრებას, რომ კომუნისტებმა შესძლეს გერმანიაში სოციალისტ-კომუნისტების ორგანიზაციის დაარსება, რომელიც სისწორით გააცნობს დასავლეთ ევროპას რუსეთის სოციალისტურ მოძრაობას.

მემარცხენე კომუნისტებმა—ამბობს გაზეთი უარი სთქვეს საბჭოების მეხუთე ყრილობაზე იმ პოლიტიკის წარმოებაზე, რომელსაც დღემდე სთვლიდენ ერთად ერთ რევოლიუციის მხსნელ პოლიტიკადო.

თვითონ ბუხარინი საერთაშორისო მდგომარეობის დაფასებაში მემარჯვენე კომუნისტებისკენ იხრება: და გაძრომ-გამოძრომის (лавировать) ტაქტიკა, რომელსაც ლენინი ქადაგებდა, ერთად-ერთი საშუალებაა დღევანდელ მომენტში რევოლიუციის სახსნელადო.

## „სასურსათო გასაჭირი"

3 აგვისტოს გერმანულ „კაუკაზიშე პოსტში" მოთავსებულია შემდეგი წერილი „როგორც ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, მთავრობას გადაუწყვეტია შეებრძოლოს მთელი თავისი ძალ-ღონით სურსათით მოვაჭრეთა ყოვლად უსინდისო თავაშვებულებას. გულწრფელი კმაყოფილებით ვეგებებით ჩვენ მთავრობის ასეთ გადაწყვეტილებას და ველით, რომ ის მთელი თავისი ძალ ღონ-ით ბოლოს მოუღებს იმ საშინელ სპეკულიაციას, რომელიც კარგა ხანია გამეფებულია თფილისის ბაზრებზე. ამ საზღაპრო ფასების ზრდას აქვს ორი მთავარი ფესვი: პოლიტიკური და ვაჭრული, ესენი ორივე ერთნაირათ საშიშია და უნდა ისჯებოდეს სრულის სიმკაცრით.

რაც შეეხება პირველს, მთავრობას დამამტკიცებელი საბუთი აქვს იმისა, რომ განუწყვეტელი ფასების ზრდა საზოგადოთ სურსათზე კერძოთ პურზე რამდენიმეთ გამოწვეულია მოსაქმე პოლიტიკურ აგენტების მოხერხებით.

ეს აგენტები არიან ის პირები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოს და მის დაცვის წინააღმდეგ აშკარათ და ფართოთ ეწევიან ყველგან ამაღელვებელ მუშაობას. ეს დღეს საეჭვო აღარ არის. თავიანთი მდაბალი ზრახვებით ისინი ცდილობენ ძირი გამოუთხარონ და დასცენ საქართველოს მთავრობის და გერმანიის მნიშვნელობა და სადაც კი შესაძლებელია, გამოიწვიონ აღელვება. სწორეთ ეს სახელმწიფოს ძირის გამომთხრელები არიან, რომლებიც ქუჩებზე და მოედნებზე განუწყვეტლივ ავრცელებენ პროვოკატორულ ხმებს, მაგრამ, სამწუხაროთ, დღემდე დაუსჯელათ დაიარებიან. ეს წამქეზებელნი უნდა გამოყოფილ იქნას სხვებისაგან და ერთ რიგში იქნან მოქცეულნი. მთავრობამ არ უნდა დაიხიოს უკან და მათ წინააღმდეგ მიიღოს უსასტიკესი ზომები. ასეთივე ზომები აუცილებლათ საჭიროა ვაჭრებისა და სანოვაგის სხვა პატრონთა წინააღმდეგ, რომლებიც ეს რამოდენიმე თვეა თფილისს შიშის ზარსა სცემენ თავიანთი ბატონობით და ათასობით და მილიონებით ყოველივე უსინდისო საშუალებებით გლეჯენ გაჭირვებულ მცხოვრებთ".

## ბორჯომი

„უბორჯომოთ საქართველოს რესპუბლიკა მე ვერ წარმომიდგენია". ამგვარი ფრაზა არა ერთხელ გაგვიგონია ჩვენი მოღვაწეებისაგან.

და მართლაც, ბორჯომი წარმოადგენს ნორჩი რესპუბლიკის საუკეთესო განძს.

ამ მამულში ითვლება 71,000 დესეტინა მიწა, რომლიდანაც 50,008 დესეტინა მშვენივრად შენახული ნაძვის, ფიჭვის და სხვა ხეების ტყეა; 19,545 დესეტინა შეადგენს სახნავ-სათიბავ ადგილებს, ბაღებს და საგარაკო ეზოებს; მხოლოდ 1447 დესეტინა შედარებით უარგისი ადგილები—კლდე-ღრეებია.

ამ მამულის ღირებულება შედარებით მით უფრო მაღლა სდგას, რომ მიმოსვლის და საქონლის გადატანის საქმე კარგათ არის მოწყობილი: მამულს შუაში ჩაუდის ხაშურ ბორჯომის და ბორჯომ-ბაკურიანის ვიწრო ლიანდაგის რკინის გზა. მეორე მხრივ მამულში მიმდინარეობს მტკვარი,—ეს უფასო გადამტანი ძალა, რომლის საშუალებით ძველი დროიდან თბილისში და სხვა ადგილებში მიეზიდებიან ტივებს.

თუ მიწის ზედა პირი ბუნებისაგან უხვათ არის დაჯილდოებული ბორჯომის მამულში, სამაგიეროთ არა ნაკლებ სიმდიდრეს იძლევა მიწის სიღრმე, რომლიდანაც ამოჩუხჩუხებს სხვადასხვა გვარი სამკურნალო წყაროები და მათ შორის ყველგან,—რუსეთში, ევროპაში და თითქმის ამერიკაშიაც,—განთქმული ეკატერინეს წყარო.

ამ წყაროს წყალი ომის დაწყების წინა წელს ცხრა მილიონი ბოთლი გასაღდა.

ბორჯომის მამული დღემდე კარგათ არის შენახული;—ტყე 176 უბნათ არის დაყოფილი და კარგათ მოვლილია.

წყაროები და აბანოები თანამედროვე მოთხოვნილების თანახმად არის მოწყობილი.

წყლის ჩასასხმელ ჭურჭლების დასამზადებლათ აგებულია და დღესაც მუშაობს ბოთლების და შუშეულობის ქარხანა. მუშაობს აგრეთვე ორი ტყის სახერხი ქარხანა ბორჯომში და ახალდაბაში.

თვით დაბა ბორჯომი გონივრულ გეგმაზეა აშენებული. თითქმის ყველა სახლები ბორჯომში განათებულია ელექტრონით, რომლის სადგური ეგრედ წოდებული „თეთრი ნახშირით", ესე იგი წყლის ძალით მუშაობს და განათების გარდა აძლევს სამუშაო ძალას ზავოდებს.

ბორჯომში გამოყვანილია წყლის სადენები და არხები.

მშვენიერი ბაღები და ბოსტნები, ძვირფასი სამკაულით მოწყობილი სასახლეები და კარგათ არის ...

არც სწავლა-ს... დავიწყებული ბორ... რამოდენიმე მეტრ... მთელ რუსეთში გან... რაფიული (მიწის ძვრის მ... დგური, პატარა გეოლოგიური... ფიული და არხეოლოგიური ...ეუმები და სხვა.

როგორც ვიცით, ბორჯომი იყო ყოფილი დიდი მთავრის კერძო საკუთრება. ამ გვარივე მამულები იყო აბასთუმანი, გაგრა და სხვები.

რომანოვების გვარეულობას აუარებელი სიმდიდრე ქონდა. კერძო პიროვნებების საკუთრების გარდა ამ გვარეულობას ეკუთნოდა ეგრედ წოდებული საუფლისწულო მამულები კახეთში, მუხრანში, ვაჭუში, ყირიმში და რუსეთის თითქმის ყველა გუბერნიაში, ზომით ცხრა მილიონ დესეტინაზე მეტი. ყოფილ იმპერატორის პირად საკუთრებას შეადგენდა სასახლის და კაბინეთის მიწები უმთავრესად ციმბირში, რომლის ზომა აღემატებოდა 150 მილიონ დესეტინას.

ამ ყოვლად მავნე გვარეულობას ის ერთი კარგი თვისება ქონდა, რომ მამულებს კონცენტრაციას უწყობდა და კარგათ ამუშავებდა.

ამ მხრივ დიდი კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა საუფლისწულო მამულებს. მაგალითად, კახეთში ვენახის გონივრათ მოშენება და მეტადრე ვაზის წამლობა კახელებმა დაიწყეს საუფლისწულო მამულის წაბაძვით.

რასაკვირველია რომანოვები ფიქრობდენ მხოლოდ საკუთარ და თავიანთ შთამომავლობის კეთილდღეობაზე და არა ხალხისათვის.

მაგრამ დღეს ერს დარჩა დიდი განძი და ამ განძს მოვლა უნდა.

ბორჯომი აქამდინ იყო დიდი მთავრის, ასე ვსთქვათ, სატრფიალო მამული, რომელსაც იგი საკუთარ სიამოვნებისთვის აშენებდა და აწყობდა მრავალგვარი სამკაულებით.

დღეს ეს მამული ჩვენ დაგვრჩა და აუცილებელი საჭიროებაა, რომ ეს ძვირფასი განძი შენახული და დაცული იყოს და მასთანავე ამ ხალხის სიმდიდრეს სარგებლობა მოჰქონდეს რესპუბლიკისათვის.

ამისათვის უპირველესათ ყოვლისა საჭიროა, რომ მამულის გამგეობის საქმე გონიერათ იყოს დაყენებული.

მამულს დიდი საფრთხე მოელის.

ახლაც ადგილობრივი გლეხები აქა-იქ ტყეებს სჩეხენ. ჯერ-ჯერობით ეს მცირე მოვლენაა, მაგრამ საკმარისია, რომ მეტადრე ბორჯომის მამულის გარეშე სოფლელები ტყეში შემოიჭრან და აჩეხონ ის, რომ მამულს თავის მნიშვნელობა სამუდამოთ დაეკარგოს.

დიდათ საყურადღებოა აგრეთვე მუშათა კითხვა. აქ დღეს ორი ათასამდე მუშაა. საკმარისია, რომ ადგილობრივმა გამგეობამ უნარი და მუშათა საკითხის ცოდნა ვერ გამოიჩინოს, მუშები გაიფიცონ, ფაბრიკის ქურები გაქრეს და მით საქმე დაიღუპოს.

საჭიროა, რომ მუშ. და გლეხებმა, მეტადრე ამ უკანასკნელებმა შეიგნონ, რომ ერთი მხრივ მათი კეთილდღეობა დამოკიდებულია მამულის წარმატებაზე და მეორე მხრივ, რომ ეს მამული არ წარმოადგენს მათ კერძო საკუთრებას, არამედ ეკუთნის მთელ საქართველოს რესპუბლიკას.

ჩვენი აზრით, მხოლოდ მუშათა და გლეხთა საკითხის თეორეტიული და პრაქტიკული მცოდნე პირი უნდა დაინიშნოს ამ მამულის გამგეთ.

საჭიროა, რომ აქ მუშათა პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციები მჭიდროთ იყოს მოწყობილი.

დღეს ბორჯომში, როგორც ვსთქვით, ხის სახერხი და შუშეულობის ქარხნები მუშაობენ. საჭიროა ამ საქმის პრაქტიკულ ნიადაგზე დამყარება და მათი გაფართოება.

შუშეულობა ჩვენში ძნელი საშოვნელი გახდა. აქ კი არსებობს პირობები, რომლის საშუალებითაც შეიძლება დაკმაყოფილებული იქნეს ჩვენი ხალხის ეს კულტურული მოთხოვნილება.

თფილისში და სხვა ჩვენ ქალაქებში ჟურნალ გაზეთების და საზოგადოთ წიგნ-ბეჭდვის საქმე დიდ განსაცდელს განიცდის. ქაღალდი ძნელი საშოვნელი შეიქნა და მისი ფასი დღიდან დღეზე მატულობს. ჩვენში ქაღალდის დღიური მოთხოვნილება ორას ფუთს აღემატება.

ბორჯომში არსებობს პირობები, რომელიც ნებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ აქ ქაღალდის ფაბრიკის დაარსება შესაძლებელია. თუმცა ზოგიერთი მანქანების შოვნა გაჭირდება, მაგრამ მოხერხებული ორგანიზატორი მზა-მზარეულ მანქანებს იშოვნის და ჩამოიტანს ბორჯომში, და ამ უსაჭიროესს საქმეს გააჩაღებს.

მოსახერხებელია აქ აგრეთვე სპიჩკის ფაბრიკის დაარსება.

დიდი მომავალი აქვს ამ მამულს.

მოვა დრო, როდესაც ბორჯომიდან დაწყებული ხაშურამდე და ქვათურამდე

ზემოთ და ქვემოთ წარმოების სხვადასხვა დარგი დაარსდება და კულტურული ცხოვრება გაჩაღებული იქნება.

ჩვენ ოცნებით გატაცებული არა ვართ, როდესაც თვალწინ ვხატავთ ამ სურათს. ეს ოცნება კი არა—სინამდვილეა, მხოლოდ საქმე იმაშია, თუ როდის დადგება ეს ხანა.

ბორჯომის მამულის გონიერ გამგეობას კი შეუძლია ამ დროის დაახლოება.

გ. ს.

## ჯარისკაცთა წერილები

გთხოვთ „ერთობის" საშვალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ იმ ამხანაგებს, რომლებმაც თავისი წვლილი შემოსწირეს მეშვიდე ქართულ პოლკში მეშვიდე როტაში არსებულ „სამაცადინო მარქსისტულ წრეს" და საშუალება მოგვცეს გაგვეფართოვებია წრის ფონდი. ორ ორი მანეთი—გეგელია შალვამ, უშვერიძე ალისტრახომ, აზხაზავამ ვალერიანმა. ერთი მანეთი—მენაბდე ისაკიმ და 80 კ. გურგენიძე ვლასიმ.

სამაცადინო მარქსისტულ წრის თავმჯდომარე მეშვიდე როტაში.

პარ. ლორია.

## ს.-დემ. პარტიაში

**გორი.** პირველ აგვისტოს გორის მაზრის სოც.-დემ. პარტიის ცენტრის თაოსნობით ქ. გორში მოწვეული იყო პარტიული ყრილობა, რომელსაც დაესწრენ პარტიული მომუშავენი გორის მაზრის ყველა რაიონებიდან და ადგილობრივი ამხანაგები. ყრილობაზე დასწრების უფლება ჰქონდა პარტიის ყველა წევრს, ხოლო დანარჩენ პირთათვის კრება დახურულად იქნა გამოცხადებული. ყრილობამ გასტანა ორ დღეს. მას ეტყობოდა დიდი სიფხიზლე და სიცოცხლე. ყრილობა გახსნა გორის მაზრის სოც.-დემ. ცენტრის თავმჯდომარემ ამხ. იმნაიშვილმა, რომელმაც გააცნო დამსწრეთ მიზანი ყრილობისა და გაუთვალისწინა გორის მაზრის მდგომარეობა პარტიული მუშაობის მხრივ. მან გაახსენა ყრილობას ის დანაკლისი, რომელიც განიცადა პარტიამ ამ უკანასკნელ დროს ჩვენი საუკეთესო ამხანაგების გიორგი მაჩაბლის, სანდრო კეცხოველის და წითელ გვარდიელების ანარქიასთან ბრძოლაში გმირულად დაღუპვის გამო. ყრილობამ მათ ხსოვნას ფეხზე ადგომით სცა პატივი.

შემდეგ ამისა არჩეულ იქნა პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. დ. ონიაშვილი, მისი ამხანაგი ვ. ქარცივაძე და ორი მდივანი, ოლ. სოლოღაშვილი და მ. კინწურაშვილი. კრებამ მიიღო შემდეგი დღიური წესრიგი: 1) აგრარული საკითხი; 2) ერობის საკითხი; 3) მიმდინარე მომენტი; 4) პარტიული და კულტურული მუშაობის გაძლიერება სოფლად; 5) მოხსენებები რაიონებიდან პარტიულ მუშაობის და ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ; 6) განცხადებანი.

აგრარული საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კ. ნინიძემ. მოხსენებამ გამოიწვია ცხარე კამათი და შეკითხვები ეტყობოდა ყველა მეტად დაინტერესებული იყო ამ საკითხით და უნდოდათ ყოველ მხრივ გაეთვალისწინებინათ იგი. ილაპარაკეს მრავალმა ორატორებმა და თითქმის ყველამ ის აზრი გაატარა, რომ მიწები გლეხებს დაურიგდეთ კერძო საკუთრებათ განსაზღვრულ ფასში, რომელიც აუნაზღაურებს სახელმწიფოს აგრარული რეფორმების ცხოვრებაში გასატარებლად და სხვა სამეურნეო ხარჯების დასაფარავად გაწეულ ხარჯებს. საგულისხმიეროა, რომ კამათში მონაწილეობას იღებდენ თვით გლეხები. ერთმა მათგანმა ამხ. მელაძემ მეტად სისწორით და დაკვირვებით დაგვისურათა სოფლის მდგომარეობა და განაცხადა, რომ თავადობა მოისპო, მაგრამ მათი ადგილი დაიჭირეს მდიდარმა გლეხებმაო. ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: გორის მაზრის სოც.-დემ. პარტიის მომუშავეთა და წევრთა ყრილობა აღიარებს, რომ საჭიროა მიწის საკითხის დაუყოვნებლივ გადაჭრა შემდეგ საფუძველზე: 1) ტყეები, მადნები და სხვა მამულები, რომელთაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ, გადადიან სახელმწიფოს ხელში, რომლის ხელში იქნება აგრეთვე გადასახლებისათვის საჭირო თავისუფალი ფონდი. დანარჩენი ჩამორთმეული მიწები მიეცეთ გლეხებს კერძო საკუთრებათ. მიცემულ მიწებში გლეხები იხდიან განსაზღვრულ ფასს, რომელიც დაფარავს სხვადასხვა ხარჯებს, როგორიც არის მაგალითად ჩამორთმევის დროს გაწეული ხარჯები, მეურნეობის გასაუმჯობესებელი თანხა და სხვ. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია მთავრობამ შეღავათიან პირობებში გადასცეს მიწა გლეხკაცობის უღარიბეს ნაწილს და აღმოუჩინოს მათ დახმარება (რეზოლიუცია ერთხმათ იყო მიღებული წინააღმდეგ ერთისა).

ერობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დ. ონიაშვილმა. მომხსენებელმა განმარტა მნიშვნელობა ერობისა. მოიყვანა მაგალითები ერობის მოქმედების შესახებ სხვადასხვა ქვეყნებში; გააცნო ყრილობას ისტორია ამ საკითხისა რუსეთში და ჩვენში. აღნიშნა ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს მას ერის ცხოვრებაში და მის კულტურულ აღორძინებაში. ამ საკითხის გამო ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია:

გორის მაზრის სოც.-დემ. პარტიის ყრილობა საჭიროდ სცნობს დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნეს სამაზრო ერობა. ყრილობა აღიარებს აგრეთვე, რომ საჭიროა წვრილ საერობო ერთეულების და საგუბერნიო ერობის შემოღება იმის მიხედვით, თუ როგორ მოეწყობა ჩვენში ადმინისტრატიული გადამიჯვნა.

მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა თფილისიდან ჩამოსულმა ამხ. ირაკლი წერეთელმა.

მომხსენებელმა ყოველ მხრივ გააშუქა და გაუთვალისწინა ყრილობას ის ღრმა მიზეზები, რომელთაც შექმნეს დღევანდელი საქართველოს მდგომარეობა და ის პოლიტიკური ხაზი, რომელსაც აწარმოებს ჩვენი მთავრობა.

მოხსენების შემდეგ შეკითხვების საშუალებით ყველა ცდილობდა მიეღო პასუხი იმ საჭირ-ბოროტო კითხვებზე, რომელნიც დღეს ასე მრავლად გვაწუხებს. შეკითხვები იყო მრავალ მხრივი და მომხსენებელმა სისწორით გაუშუქა კრებას ყოველივე საკითხი და სავსებით დააკმაყოფილა ყველა შემკითხველი.

პარტიული და კულტურული მუშაობის გაძლიერების შესახებ სოფლად მოხსენება გააკეთა ამხ. იმნაიშვილმა. მომხსენებელმა აღნიშნა გორის მაზრაში პარტიული ორგანიზაციების და მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა; აღნიშნა ის ზომები, რომელიც მიღებული აქვს ამის შესახებ თფილისის მაზრის სასოფლო კომისიის სექციას და საოლქო კომიტეტს: გორის მაზრა დაყოფილია 9 რაიონად, სადაც დაგზავნილი იქნებიან პასუხისმგებელი პროპაგანდისტები, რომელთაც ევალებათ პარტიული მუშაობის გაძლიერება და ორგანიზაციების აღდგენა; განზრახულია ამ მოკლე ხანში ქ. გორში და ხაშურში კურსების მოწყობა პარტიულ პროპაგანდისტების მოსამზადებლათ: პარტიამ უნდა აწარმოვოს ფართო კულტურულ დემოკრატიული მუშაობა, რისთვისაც საჭიროა შეკავშირება და მომზადება ადგილობრივ ძალებისა.

კამათისა და შეკითხვების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

ყრილობა აღიარებს 1) ვალდებულად გახადოს ყველა მოწინავე პარტიული ამხანაგები აამოძრაონ ადგილობრივი ძალები პარტიულ ორგანიზაციების აღსადგენათ და მოსაწყობად. 2) დაევალოს ადგილობრივ ამხანაგებს და პასუხისმგებელ მომუშავეებს გასწიონ სოფლად ფართო კულტურული მუშაობა და შემოიკრიბონ გლეხთა მასსა დემოკრატიულ ორგანიზაციების გარშემო.

3) დაევალოს მათ ამ მუშაობას მჭიდროთ დაუკავშირონ მოწინავე გლეხების პარტიულ ორგანიზაციებში თავის მოყრა და მათში სისტემატიური მუშაობა პარტიული ლიტერატურის და განსაკუთრებით გაზეთების გავრცელებით. 4) დაევალოს მოწინავე ამხანაგებს აუცილებლად დრო-გამოშვებით დაესწრონ ხოლმე იმ ლექციებს და მოხსენებებს, რომელნიც იქნებიან სპეციალურად დაარსებული პარტიულ კურსებზე გორში და ხაშურში.

რაიონში მომუშავე ამხანაგებმა გააკეთეს მოხსენებები ადგილებიდან, საიდანაც გამოირკვა, რომ ამ ბოლო დროს პარტიულ მუშაობას არა ჰქონდა მიქცეული ჯეროვანი ყურადღება, რადგანაც თითქმის ყველა ამხანაგები ჩაბმულნი არიან სხვადასხვა მუშაობაში; ამასთან ერთად სოფლში სწარმოებს დიდი პროვოკაციური მუშაობა ჩვენს წინააღმდეგ: გლეხებში ავრცელებენ ხმებს, რომ ჩვენი პარტია არის პარტია თავად-აზნაურობის და სხვა...

დასასრულ ყრილობამ განიხილა სხვადასხვა განცხადებანი და დაიშალა იმ იმედით, რომ გაორკეცებული ენერგიით შეუდგება მუშაობას და სასურველ ნიადაგზე დააყენებს პარტიულ საქმეს.

ო. ს.

---

**ქ. სურამი.** 29 ივლისს შესდგა სურამის ორგანიზაციის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტის კრება. კრებას დაესწრო საოლქო კომიტეტის წევრი ამხ. რ. ჩიხლაძე. მან მოხსენება გააკეთა ჩვენი პარტიის მდგომარეობაზე. გააცნო კრებას საოლქო კომიტეტის აზრი და დასასრულ მოუწოდა ამხანაგებს ენერგიული მუშაობისაკენ.

ამ ბოლო ხანებში ჩვენში პარტიული მუშაობა ძლიერ შესუსტდა. ეს გარემოება უმთავრესათ იმას უნდა მიეწეროს, რომ ჩვენს ორგანიზაციებს თავიდანვე არა ყოლია პროფესიონალური მუშაკი და მეორე იმას, რომ ადგილობრივი ამხანაგები ჩაბმული არიან სხვადასხვა ორგანიზაციებში. კრებამ მიიღო შემდეგი წინადადება: კრებამ მოისმინა რა მოხსენება პარტიის მდგომარეობის შესახებ, დაადგინა: გახდეს ყველა ადგილობრივი ძალებისათვის სავალდებულო დღეიდან შეუდგეს ორგანიზაციების მოწყობას სურამის რაიონში, ხოლოდ პარტიული მუშაობის უფრო გასაცხოველებლათ საჭიროთ სთვლის მოწვეულ იქმნეს პროფესიონალური მუშაკი.

Calis.

## პროვინცია

**ფოთი.** 28 ივლისს აქ გაიარა ბათუმისაკენ ალბათ ოჩემჩირიდან ან მისი ახლო-მახლო ადგილებიდან ოსმალოს ხუთი დიდი ფელუგამ სიმინდით დატვირთულმა.

— ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრათ მოწვეულია ამხ. ამვროსი ინწკირველი (ს.-დ.).

— მთავრობის განკარგულებით კეთდება ფოთში რადიო-სადგური. მუშაობა მალე დამთავრდება.

— ქალაქში 23 ივლისიდან მძვინვარებს ხოლერა, რამაც იმსხვერპლა უკვე რამდენიმე კაცი. მიღებულია სასწრაფო ზომები მის წინააღმდეგ.

— ნავთსადგურის ტერიტორიის სანიტარული მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება.

— დღეს დღეობით ფოთში იმყოფება 2.000 ლტოლვილი.

— ქალაქის თვითმართველობას აზრად აქვს მოაწყოს ავტომობილებით მიმოსვლა ფოთსა და სუფსას შუა. ახლო მომავალშივე უნდა მოეწყოს კატერებით მიმოსვლა მდ. რიონზე ფოთსა და ორპირის შუა.

X.

---

**თელავი.** თელავის საქალაქო ინჟინერ ტეხნიკმა რჩეულიშვილმა ქალ. თავს კ. ანდრონიკაშვილს წარუდგინა ის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც დასჭირდება ქალაქის გასამშვენიერებლად: 1) პირველ რიგში აშენდება წყლის სადენის მილი, სიგრძით 5 ვერსტი, რომელიც დაჯდება 200.000 მ. 2) მდინარე „რიყეს" ნაპირების გასამაგრებლად, რომელსაც ქალაქისთვის დიდი ზარალი მოაქვს ხოლმე, დასჭირდება 100,000 მ. 3) საქალაქო 50 დუქნის აშენება დაჯდება 210,000 მ. 4) მდინარე „რიყეზე" მეორე რკინის ხიდის ასაშენებლად საჭირო იქნება 150,000 მ. 5) სადგურის გზის შეკეთება და მთავარ ქუჩებზე ქვაფენილის გაკეთება დაჯდება 525,000 მ. მთლად ამ შენობებისთვის საჭირო იქნება 1,185,000 მ. ეს ხარჯთ-აღრიცხვა შემცირდება, თუ სადგურის გზის გაკეთებას გამოვაკლებთ. ქალ. თავმა მიმართა ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრს და სთხოვა რკ. გზის სადგურის ქალაქზე უფრო ახლოს გაკეთება, ე. ი. ლიანდაგის მიყვანა ან ყაზარმებამდე ან და საქონლის სასაკლაომდე. მინისტრი გზათა მინისტრის თანხმად დაპირდა ქალაქის თავს, რომ ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნება. მაშასადამე სადგურის შესაკეთებლად საჭირო ხარჯი რომ გამოვაკლოთ, ქ. თელავის მოწყობა სულ დაჯდება 700—800 ათას მანეთამდე. მაგრამ ამ ხარჯის დასაფარავადაც ქალაქს არა აქვს საშუალება. ამიტომ ქ. თავმა კ. ანდრონიკაშვილმა გადასდგა შესაფერი ნაბიჯები ბანკში სესხის ასაღებად და ეროვნულ საბჭოში განსაზღვრული თანხის, როგორც პროცენტიანი, ისე უპროცენტო, მოსათხოვნად. მთავრობის წრეებში დახმარება აღუთქვეს.

X.

---

**სოფ. ფოცხო** (სენაკის მაზ.) აქაც ანარქიაა. ხშირად ხდება მკვლელობა. ამას წინად აქ მოჰკლეს საწყალი გლეხი გიორგი შულაია შუალამისას. ადგილობრივმა კომისარმა ზომები მიიღო და აცნობა უფროსს კომისარს, მაგრამ უფროსი კომისარი არ მოვიდა; გავიდა ათი დღე და ღამე, მოჰკლეს გლეხი დიმიტრი მორგატია, ვაცნობეთ ესეც უფროს მთავრობას, შემრგვითვალეს მოვალთო, მაგრამ არ მოვიდენ; მესამედ მოჰკლეს საწყალი კაცის ბერკა შონიას მეუღლე შუალამისას; ჩვენ ზომები მივიღეთ და ვაცნობეთ უფროს კომისარს, მაგრამ ეხლაც არ მოდის. არ ვიცით რა დანაშაული გვაქვს მთავრობასთან, რად მიგვატოვეს უპატრონოდ. ამდენი კაცი მოჰკლეს და უფროსი მთავრობა სულ არ მოსულა; აქ სოფლის კომისარი და მილიციონერები ზომებს ღებულობენ, მაგრამ რა შეუძლია მარტო სოფლის კომისარს ამ ანარქიასთან ბრძოლაში თუ სამაზრო ადმინისტრაცია არ დაეხმარა. აქ ყოველ ღამე სროლა და დავიდარაბაა. ჩვენ მოვითხოვთ მთავრობამ სასტიკი ზომები მიიღოს, გვიპატრონოს საჩქაროდ და მოსპოს ანარქია.

მათანური.

---

**ს. სამიქაო** (სენაკის მაზრა). შაბათს, 27 ივლისს, ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა გამართეს წარმოდგენა სკოლის დარბაზში. წარმოდგენა ჩინებულად ჩატარდა, კარგად შეასრულეს თავისი როლები ახალგაზრდა სცენის მოყვარეებმა. წარმოდგენას მრავალი ხალხი დაესწრო, ნასიამოვნები და კმაყოფილი დაიშალა. წეს რიგი მშვენივრად იქნა დაცული კომისარის დახმარებით. წმინდა შემოსავალი დარჩა 306 მან., რომელიც გადაიდო ადგილობრივი უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლის სასარგებლოდ. დიდ მადლობას ვუცხადებთ ყველა იმ პირებს, რომლებმაც გასწიეს შრომა წარმოდგენის მოწყობაში.

კალი.

---

**ს. ხორში** (ზუგდ. მაზრა). ს. ხორში 27 ივლისს მოხდა კრება მოწინავე ამხანაგების და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის წევრებისა. გასარჩევი საკითხი იყო—ამავე სოფელში სამკითხველოს დაარსება. ერთხმათ კრებამ დაადგინა იქნეს დაარსებული სამკითხველო შოთა რუსთაველის სახელობაზე გამგეობაში არჩეულ იქნა შვიდი პირი სხვადასხვა სოფლებიდან: თავმჯდომარეთ ს. ტყებუჩავა, მის ამხანაგათ პ. ანდრიაძე, მდივნათ დ. გვასალია, ხაზინადრათ გ. კემულარიასი, გამგეობის წევრებათ: ბ. გვასალია, ე. ცხომარია და გ. ბუღლაია. ახალმა გამგეობამ (აქ წინათ ყოფილა სამკითხველო, რომელიც თანდათან გამქრალა) ძველი გამგეობისაგან ჩაიბარა ძველი ქონება. გამგეობამ უკვე შეიძინა საჭირო საგნები სამკითხველოსთვის და იშოვნა ბინა. ჯერ ჯერობით იქნა გამოწერილი 1 აგვისტოდან შემდეგი გაზეთები: „საქართველოს რესპუბლიკა", „ერთობა", „ბორბა", სახალხო საქმე", „სოციალ დემოკრატი", „ნობათი ს.-რ." და „საქართველო".

გამგეობა მოუწოდებს ხორშის საზ-ზის ყველა მოქალაქეებს აღმოუჩინონ ნორჩ სამკითხველოს დახმარება, როგორც ნივთიერი ისე ზნეობრივი.

გოჩელი ა—ძე.

---

**ქვემო-აჭარა.** ივლისის 28 ქვემო აჭარის ქვემოთ, ღრმა ღელესთან ოთხი შეიარაღებულნი ბოროტ მოქმედი დახვდენ დილისით ოთხ ხილით მოვაჭრე გლდანელებს, სამი მოჰკლეს, მხოლოდ ერთმა როგორც იყო თავს უშველა გაქცევით. საჭიროა ადმინისტრაციის მიერ იქნას ზომები მიღებული მკვლელების აღმოსაჩენათ. აჭარაში ხშირია უბედური შემთხვევა, რადგანაც არა საიმედო პირების ხელში ბევრი იარაღია, რომლებიც ბოროტათ ხმარობენ. ამას წინათ ერთმა ქორწილი გადიხადა ისეთი საშინელი სროლით, რომ გეგონებოდა, ომი ატყდაო. ორი ათას პატრონაზე მეტი დასწვეს.

---

**ხუნევის საზოგადოება.** (შორაპნის მაზრა). ჩვენი კუთხის ხალხი სწავლა-განათლების მხრით ჩამორჩენილია. მეტი ნაწილი მცხოვრებლებისა უსწავლელია. ამიტომ ათასგვარი ჭორი და სისაძაგლე ვრცელდება ხალხში. ამას ავრცელებენ ის ვაჟბატონები, რომლებსაც უნდათ ხალხში სიბნელის შეტანა, რომ ამით ისარგებლონ მერე. მაგრამ ბევრმა გაიგო მათი საქციელი და ახლა ყველა გაურბით. მატყუარა „ბოლშევიკებს" ბევრმა შეაქცია ზურგი.

21 ივლისს ჩვენს საზოგადოებას ჰქონდა კრება. უნდა აერჩიათ ახალი კომიტეტი, არჩევა უნდა მომხდარიყო ფარული კენჭის ყრით. ხელმძღვანელობა ჰქონდათ მინდობილი მასწავლებლებს იპოლიტე ბლიაძეს და ბესარიონ ციცქიშვილს, მაგრამ ხალხმა უარი უთხრა მათ. მიზეზათ დაასახელეს ის, რომ ნასწავლები გვატყუებენო. ამდენათ შეუგნებელია ჩვენი ხალხი. ხალხი უსწავლელობის გამო დიდ გასაჭირს განიცდის; საჭიროა დახმარება.

ძიმწარათელი.

---

**სამურზაყანოში,** ს. ჭებურისხინჯაში იყო მწერალი, რომელიც ემორჩილებოდა მთავრობის მოთხოვნილებას, მისგან მხოლოდ მოვალეობის ასრულებაში გამოიხატებოდა მისი პოლიტიკური შეხედულება.

ახალ-მოთის სოციალისტებმა მოინდომეს ამ „კონტრ რევოლიუციონერი" მწერლის გაძევება, მაგრამ უნდოდათ ეს მოეხდინათ ხალხის დახმარებით. შეკრიბეს ხალხი, გააცნეს ის თუ რა საშიშროებას წარმოადგენდა მწერალი მენშევიკი და მისცეს ხალხს წინადადება ხელის აწევით გადაეწყვიტათ, დარჩენილიყო თუ არა მწერალი თავის ადგილზე. ხალხმა ერთხმად ადგილზე დასტოვა მწერალი. მაშინ „ბოლშევიკებმა" გამოუცხადეს ხალხს: „თქვენ ერთმანეთის ხათრით ასწიეთ ხელი და ამიტომ ფარული კენჭის ყრა უნდა მოვახდინოთო, აიხვიეთ ყველამ თავპირი ყაბალახებით და ისე ასწიეთ ხელი, ვინც იმის მომხრე ხართ, რომ მწერალი თავის ადგილზე დარჩესო". ხალხმა თვალ ახვეულმაც იგივე მწერალი აირჩია. როდესაც ჰკითხეს „ბოლშევიკებს" თუ, რას ნიშნავდა ეს თვალების ახვევა, მათ რიხიანად უპასუხეს: „მაშ როგორ უნდა გაგვეტარებინა ფარული კენჭის ყრაო".

ვახო.

## წერილი რედ. მიმართ

„ერთობის" 161 №-ში დაბეჭდილია ბასილეთელის წერილი ტრამვაის ცხოვრებიდან, სადაც ავტორი მე უდიერათ მიხსენიებს და სრულიად უსაბუთოდ ცილს მწამებს. რადგანაც თავის მართლება გაზეთის ფურცლებზე ზედ მეტად მიმაჩნია, ვიწვევ ბ ნ ბასილეთელს სამედიატორო სასამართლოში. ჩემი მხრივ მედიატორებათ ვასახელებ ფ. ლორიას და ი. გიორგობიანს. ვაძლევ ბასილეთელს 7 დღის ვადას ამ წერილის დაბეჭდვის დღიდან და მოვითხოვ მანაც დაასახელოს მედიატორენი, რომ შესდგეს სასამართლო და აღდგენილ იქნას ჩემი სიმართლე.

ზურაბიშვილი.

## ცნობები

ამხანაგებო! ჯარისკაცები: სამსონ მალაქიას ძე ჩხაიძე, ვასილი (იგივე) ბესარიონი ალექ ანდრეს ძე ქინქლაძე, სერგეი ლუკას ძე ქინქლაძე და თომა სოფრომის ძე ჩხაიძე, მსახურებდენ ახალი პოლკში 1 საბატალიონში მეორე როტაში: აბასთუმანის გზებზე, ზეკარის უღელტეხილზე რკინის ჯვარზედ თათრებთან თუ „ჩეტნიკებთან" შეტაკების დროს. უგზო უკლოთ დაიკარგენ, მშობლებმა ზემო აღნიშნულ გზებზე ეძიენ, მაგრამ ვერ ნახეს, ეხლა სთხოვენ თუ ვინმემ რაიმე იცის ამ ჯარისკაცების შესახებ, აცნობონ შემდეგი მისამართით: სად. ლანჩხუთი ს. აცანა ათთექ.-რს მიშა კოლუაშვილს.

---

ჯარისკაცნი: ს. ნიგოითის მცხოვრებნი (ოზურგეთის მ.ზრა) კოლია ნესტორის ძე ღოღოკაიშვილი, ვლადიმერ კაპიტონის ძე ორმოცაძე, ტიტიკო ზოსიმეს ძე ორმოცაძე და ამბეკი თენგისის ძე მიქავტაძე მსახურობდენ შავი ზღვის „პაგრანიჩნი" ბატალიონში. 10 აპრილს მონაწილეობას ღებულობდენ ვაშნაარის ბრძოლაში ოზურგეთის მახლობლად ოსმალებთან, მას შემდეგ მათმა მშობლებმა არაფერი არ იციან მათ შესახებ, თუ ვინმემ რაიმე იცით გთხოვთ გაგვაგებინოთ შემდეგი მისამართით: სადგური ნიგოითი ზოსიმე ორმოცაძეს.


## ფოსტა

საჩხერე. შ. [illegible] დუშელიშვილის შესახებ ჩვენ არა[illegible] რა [illegible] დაბეჭდილი—აბდუშელიშვილი, რომ[illegible] მენშევიკი ბოლშევიკებმა დააპატ[illegible] ასტრახანში.

## დაიკარგა

**წიგნაკი № 2868,** „თფი[ლისის] კოოპერატივი"-დან ანნა გრიგ[ოლის] ასულის ძლივიძის სახელზე აღებ[ული], რომელიც გაუქმებულათ ჩაითვლ[ება].

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილ[ი]** იღებს ქალების და ქირურგიულ [ავადმყოფ]ებით ავათმყოფთ დილის 9—1[2] საღამოს 5—7 საათ. მისამართი: [illegible] ქუჩა, 41. ტელ. № 9-53. (2[illegible])

**კერძო მიხეილის სამკურნალო**
მუდმივი ლოგინებით. ავადმყოფები[ს მი]ღება ყოველ დღე დილის 10 საათ[იდან] მიხეილის პროსპექტი, 167.

**ექიმი ი. გ. კონიევი.**
იღებს შინაგან სნეულებით ავათმყ[ოფებს] საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარ[ა]უნის ქ. № 3. (2[illegible])

**ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილ[ი]**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნი[ვერ]სიტეტისა და ედინბურგის მედიკურ [ქი]რურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყო[ველ] დღე შინაგან, ქალურ და ვენერ[იულ] ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით [illegible] გებას. სიფილისის წამლობა ახალი [მე]თოდებით. დილის 10—12 ს. და [საღა]მოს 5—7 საათამდე. ელისაბედის [ქ.] სახლი № 82. ტელ. № 9—26.

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ა[ვად]მყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ[ის] —9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზ[ის] ქუჩა № 14.

**ექიმი ვ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღ[ამოს] 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, [მი]სამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; [illegible] ცენტრის ეკონომიურ საზ. შენობის [illegible] დაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5-[illegible]

# განცხადება

თფილისის სამხედრო-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა სთხოვს წევრებს მოვიდენ **საზოგადო კრებაზე,** რომელიც მოხდება ამა წ[ლის] **11 აგვისტოს, შუადღის 2 საათზე** ორთაჭალაში, „დასახიჩრებულ მეომა[რთა] თავშესაფარში", ტრავმოტოლოგიურ ინსტიტუტთან.

ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

(2—1) თფილისის სამხედრო დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა.

# განცხადება
# გზათა სამინისტრომ

გადასწყვიტა მოაწყოს ავტომობილებით მიმოსვლა მგზავრების, ბარგის, ფოს[ტის] და სხ. გადასაზიდათ შემდეგ მიმართულებით საქართველოს რესპუბლიკის ტე[რი]ტორიაზე: 1) თფილისი—ყაზბეგი. 2) თფილისი—ბელი-კლიუჩი, 3) თფილის[ი—] კოჯორი—მანგლისი, 4) სიღნაღი—წნორის-წყალი—ლაგოდეხი, 5) თელავი—თი[ა]ნეთი, 6) გორი—ცხინვალი, 7) გორი—მეჯვრის-ხევი, 8) ვაზიანი—გომბორი, [9)] თფილისი—ვარანცოვკა, 10) ბორჯომი—აწყური, 11) ქუთაისი—ხონი—სამტ[რე]დია, 12) ქუთაისი—ბაღდადი—აბასთუმანი, 13) ქუთაისი—ონი, 14) სენაკი—ზუ[გ]დიდი—სოხუმი, 15) სოხუმი—გაგრა, 16) ფოთი—სუფსა, 17) ნატანები—ოზურ[გე]თი—ჩოხატაური—საჯავახო, 18) აბაშა—ბანძა—ნოღალევი და 19) იანეთი—დიდი-ჯიხაიში.

ამ მიზნისათვის გზათა სამინისტროს საავტომობილო განყოფილება მოუწ[ო]დებს მსურველებს კონცესიის ასაღებათ შემოიტანონ განცხადება აღნიშნულ გზებ[ზე] კონტრ-აგენტებს ექნებათ ავტომობილების მიმოსვლის მონოპოლიის უფლება. და[წ]ვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება გზათა სამინისტროს საავტომობილო გა[ნ]ყოფილებაში, პეტრე დიდის ქუჩა № 8. დეპეშით ან ფოსტით ცნობების მიწ[ო]დება არ შეიძლება.

უკანასკნელი ვადა განცხადებისა დანიშნულია 10 აგვისტოს, შუადღის სა[მ] საათი. შემდეგ შემოსული განცხადებები როგორი საშუალებითაც არ უნდა მო[ვ]ეწენი, ფოსტით თუ დეპეშით, ან როგორის შინაარსის და წინადადებით—მხე[დ]ველობაში მიღებული არ იქნება. (3—3)

## ნაცარწმულიან-ნახშირმჟავიანი წყალი

# ბორჯომი

1907 წლის გამოფენაზე დაჯილდოვებულია უმაღლესი ჯილდო (Grand prix)

უკანასკნელმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ბორჯომის წყალში არის მუდმი[ვი] ემანაცია, რაც ამტკიცებს მასში რადიის მარილის ნიშნების არსებობას.

**ბორჯომის წყალს** ექიმები ურჩევენ: 1) სასუნთქავ ორგანოების ქრონიკულ ანთ[ე]ბის დროს, 2) კუჭისა და ნაწლევების ქრონიკულ ანთების დროს, 3) ჭუ[ჭ]ნაღველისა და შარდის მილის ავათმყოფობის დროს, ქრონიკულ რევმატი[ზ]მისა და სხვ., 4) საჭმლის მონელების მოშლის ყველა შემთხვევებში (ნიკ[რი]სის ქარი, სიმსუქნის და შაქრის ავათმყოფობა და სხვ).

**ბორჯომის წყალი** განირჩევა თავის უმჯობესობით სხვა ნაცარწმულიან წყლე[ბი]საგან მით, რომ ის შეიცავს იოდს და ბრომის მარილს.

**ბორჯომის წყალი** დიდათ მარგებელია, როგორც კარგი გიგიენური სასმელი [სა]დილობის დროს.

მთავარი საწყობი ბორჯომში. წარმომადგენლები: თფილისში, ელისაბედ[ის] ქუჩა, № 174, დოლიძე. ყვირილაში ძმები ნიჟარაძე და ა. გ. ჯალაღანია. (7—[illegible])


სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის" რედაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.